# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 16-17 დეკემბერი. 2020 წ. №180-181 (9106-9107) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი




## 2008 წლის ომის საქმეზე სტრასბურგი გადაწყვეტილებას იანვარში გამოაცხადებს

②





## ელიზბარ ჯაველიძე: საბრალდებო დასკვნა მიხოსთვის!

**ა**ი, უკვე კარგი 30 წელია, ქართველი ხალხი, რომელსაც ცნობიერება და სამშობლოს სიყვარული არ დაუკარგავს, აზვირთებულ ზღვაზე უკომპასო გემივით, ხან ერთ კლდეს ეჯახება, ხან მეორეს და სასოწარკვეთილი კითხულობს: **გვეშველება რამე?!** ამ კითხვითაც ჩემთვის ხშირად მოუმართავთ ნაცნობებს თუ უცნობებს, მეც იმედიანად ვამშვიდებდი მათ: **ღვთისმშობელი მარიამის წილხვედრი ქვეყანა ვართ, ღმერთი არ გაგვწირავს, ჭკუას და გონებას თუ მოვუხმობთ და ხელს გავანძრევთ, გვეშველება-მეთქი!**

და აი, ახლა დღევანდელი სიბილწის, უზნეობის, ბოროტებისა და თავგზააბნეულობის მაყურებელი, დარწმუნებით ვაცხადებ: **ჰაი, ჰაი, რომ არაფერი გვეშველება! და იცით, რატომ ?..**

**ქართველი ხალხის არცთუ მცირე ნაწილმა დაკარგა (თუ დააკარგვინეს) აზროვნების უნარი და ჭეშმარიტების რწმენა, სულიერად დაკნინდა და ღირსება ჩაუკლეს და მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე ფიქრობს, ცხოვრების წესად აქციეს „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო“.** მეტიც, სულიერება არად მიიჩნიეს, მუცლის ამოყორვა გაიხადეს მიზნად, ჟინს და ვნებას აყოლილნი, ცხოველური თავისუფლება აირჩიეს და იქმნიან იმას, რასაც ცხოველიც კი არ იკადრებს.

ამიტომაც არ მიკვირს, ეს გზააბნეული ბრბოდ ქცეულნი, ვერ არჩევენ ბნელსა და ნათელს, ბოროტსა და კეთილს, მტერსა და მოყვარეს, თუ ისტორიას გადავავლებთ თვალს, აღმოვაჩენთ, რომ ამგვარი არსებანი მზეს გაურბიან და ბნელეთს ეტრფიან, ანგელოზს ხელს კრავენ და სატანას ეპოტინებიან, რადგანაც თავად უფალმა დაუჩლუნგა მათ გონება, დაუხშო ყურები და დაუბრმავა თვალები. და რაც მთავარია, რაც უფრორე მეტად დაუნდობელი და ტანჯვა-წამების მომყენებელი სატანა-მმართველია, მით უფრო მეტად ილტვიან მისკენ და ემორჩილებიან მას. **და ამით გაყეყეჩებული სატანა, ეშმაკისეულ ფიქრს დაუფლებული, ერთობ აძლიერებს მათ ჩაგვრას და წამებას, რათა მის ყურმოჭრილ მონებს, ტანჯვის უღელში გაბმულთ, მორჩილთ, ცხვრის ფარასავით რომ მიჰყვება მას სამარემდე, რაიმე ნათელი აზრი არ დაეუფლოს, თავისუფლების და შვების სიო არ შეიგრძნონო.**

იხ. 4-5 გვ.

## კელი დეგნანი: კარგია, რომ ლიდერები ეძებენ გამოსავლის გზას!

**მნიშვნელოვანია, რომ ამ ქვეყნის პოლიტიკური ლიდერებისგან არსებობს პოლიტიკური ნება, იპოვონ გზა, რათა გადაჭრან განსხვავებები დემოკრატიული ინსტიტუტების გამოყენებაში,** — ამის შესახებ საქართველოში ამერიკის ელჩმა კელი დეგნანმა ჟურნალისტებს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მიმდინარე მოლაპარაკებებთან დაკავშირებით განუცხადა. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია, რომ მხარეებმა სწრაფად მიაღწიოს შეთანხმებას და ქვეყანაში იყოს სტაბილური, განვითარებული დემოკრატია.

**„მნიშვნელოვანია, რომ ამ ქვეყნის პოლიტიკური ლიდერებისგან არსებობს პოლიტიკური ნება, იპოვონ გადაწყვეტილება, იპოვონ გზა, რათა გადაჭრან განსხვავებები დემოკრატიული ინსტიტუტების გამოყენებაში. ეს ეხება საქართველოს დემოკრატიის გაძლიერების პროცესს. ეს აჩვენებს, რომ თქვენს პოლიტიკურ ლიდერებს შეუძლიათ, შეიკრიბონ, პოლიტიკურ განსხვავებების მიუხედავად და უხელმძღვანელონ ქვეყანას ძალიან რთულ პერიოდში, როდესაც გაქვთ პანდემია, გაქვთ ეკონომიკური კრიზისი, გაქვთ ცვლილებები რეგიონში და გყავთ რუსეთი მეზობლად. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ სწრაფად იპოვოს გადაწყვეტილება, ქვეყანაში იყოს სტაბილური, განვითარებული დემოკრატია, დაიწყოს მუშაობა სამუშაო ადგილების შესაქმნელად მოქალაქეებისთვის, რომლებსაც ეს სჭირდებათ და გაძლიერდეს ეკონომიკა ძალიან რთულ პერიოდში. ვფიქრობ, თქვენ იცით, რომ აშშ არის საქართველოს ძალიან ძლიერი მხარდამჭერი. ჩვენ თქვენი საუკეთესო მეგობარი ვართ. ჩვენ თქვენ დასახმარებლად გავაკეთებთ ყველაფერს, რაც შეგვიძლია, რათა თქვენ, როგორც დემოკრატიამ, წარმატებას მიაღწიოთ. სწორედ ამტომ ვართ ჩართულები ამ პროცესში. სწორედ ამიტომ ჩვენ გავაკეთებთ იმას, რაც პარტიებს სურთ, რათა დავეხმაროთ მათ გადაწყვეტილების პოვნაში. ეს ეხება თქვენი დემოკრატიის შენებას“.**

## კარლ ჰარცელი: მე არ ვარ „თავდასხმით“ შეშფოთებული, თუმცა...

**ჯერ კიდევ ადრეა იმაზე საუბარი, როგორ გაგრძელდება მოლაპარაკების პროცესი, პარლამენტის გახსნის შემდეგ სხვა რეალობის წინაშე დავდექით,** — ამის შესახებ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი კარლ ჰარცელი აცხადებს. როგორც ჰარცელი ამბობს, ის მზად არის ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის დიალოგი საბოლოო შეთანხმების მიღწევამდე გაგრძელდეს.

**„როგორც ფასილიტატორი, მზად ვარ, ვიპოვოთ მხარეებს შორის შეთანხმება. შესაძლებლობების მიხედვით მივიღებთ გადაწყვეტილებას მეხუთე რაუნდთან დაკავშირებით. სიმართლე გითხრათ, ეს იქნება რთული პროცესი, რომელსაც დიდი ძალისხმევა დასჭირდება. ვაგრძელებთ მათ დახმარებას. რთული სათქმელია, რა გამოვა აქედან, თუმცა არსებობს შანსი. რაც უფრო დაიხურება კარი, მით უფრო მეტად გართულდება გამოსავლის პოვნა. მე არ ვარ მოსამართლე, მე ვარ ფასილიტატორი მხარეებს შორის.**

**რაც შეეხება ელჩებზე თავდასხმას, მე არ ვარ ამაზე შეშფოთებული, მე უფრო შეშფოთებული ვარ თუ როგორ აისახება ეს მოლაპარაკებების პროცესზე, სადაც ერთიანობის მიღწევას ვცდილობთ“,** — აღნიშნა კარლ ჰარცელმა.





## გვარამია კვადრატში...

**ვერ აიტანეთ ჩვეულებრივი?!. ახლა კვადრატში აყვანილს გაუძელით! გაჭირდება, მაგრამ სხვა ილაჯი არ არის... ტყუილად კი არ განაცხადა საქვეყნოდ, მალე კვადრატში მნახავთო. გახსოვთ, ალბათ, ჯოჯოხეთის მოწყობით რომ იმუქრებოდა, აკი მოაწყო კიდეც...**

ცენტრალური საარჩევნო კომისიის შედეგებისა და სამართლიანი არჩევნების შედეგების დამთხვევამ სულ გადარია, პირდაპირ დაამთხვია მთავარი საკანალიზაციო არხის გენერალური დირექტორი, ახლა უკვე აშკარად დამთხვეული... გვარამია, რომელმაც ის ომი წამოიწყო, რაც თავის დროზე თვით ჰიტლერმაც ვერ გაბედა... ერთდროულად თავდასხმა ამერიკასა და ევროპაზე...

აქაოდა ჩემზე არანაკლებ დამთხვეულმა, ჩემმა ფიურერმა თავის მთავარ პროპაგანდისტ-აგიტატორად, ანუ ჰებელსად დამნიშნაო, დღემდე კი ძვრებოდა ნემსის ყუნწში თუ გველის ტყავში ათასგვარი მამაძაღლობით დავალების შესასრულებლად, მაგრამ დღეის ამას იქით რა მოგახსენოთ... კვადრატში აყვანილი გვარამია ნიშნავს: უწინარესად ორმაგი ჯოჯოხეთის მოწყობას, თუ სიმაღლით ახლა მეტრი და სამოცდარვა სანტიმეტრია, გახდება ნამეტანი აყლაყუდა, თუ სამოცდახუთ კილოგრამს იწონის, ახლა იქნება 130 კილოგრამი, რაც ერთი აქვს, გაუორდება, რაც ორი აქვს, გაუოთხდება, წარმოგიდგენიათ, რა ზომას მიაღწევს და რას დაემგვანება... შემირცხვენია ჩვენი რომელიმე ქართული ზღაპრის დევი! ჰოდა, მერე ნახეთ, გაორმაგებულ ბრძოლას რომ დაიწყებს. თავის ნაციონალურ ხორუმში ჩართულ გოგო-ბიჭებთან ერთად... ნოდარ მელაძის სისინი: პირველი არხიდან, ანუ მეორე საკანალიზაციო არხიდან, და ჟიჟილაშვილ-სანაია-მშვილდაძის ყიყინი „ფორმულიდან“, ანუ მესამე საკანალიზაციო არხიდან, მძორზე მისეული ყვავ-ყორნების ჭყივილად თუ ჩხავილად მოგეჩვენებათ...

იქნებ ვინმე გულუბრყვილო შემედავოს, ნაციონალების არცრა იდეოლოგი ეგ არ არისო, მაგრამ ტყიული შემოდავება იქნება. ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ხან თითო-თითოს ეძახის, ხანაც ჯგუფ-ჯგუფად და ტყავს აძრობს სულ მცირე გადაცდომისთვის. მეტადრე პარლამენტში შესვლა-არშესვლის საკითხში. ნახეთ, რა დღეში ჩააგდო კვირა საღამოს თავის ეგრეთ წოდებულ „აქცენტებში“ სამართლიანი არჩევნების დირექტორი ელენე ნიჟარაძე, რომელიც მთელი ერთი საათი ტუქსა, პროკურორული დაკითხვა მოუწყო, რათა იძულებული გაეხადა, რომ მას უარი ეთქვა სამართლიანი არჩევნების მიერ გადათვლის შედეგებზე, რაც ერთი-ერთზე ემთხვევა ცესკოს მიერ გამოქვეყნებულ შედეგებს. ჯერ დაშინება სცადა, ამის შემდეგ თქვენი ორგანიზაციის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგებაო, მერე, რაკი თავის ჭკუაზე ვერ გადაიყვანა, ეთითლიბაზა, კარგად მოიფიქრე, ჩვენი არხი ყოველთვის ღიაა შენთვისო...

იხ. 2 გვ.



## ირაკლი კობახიძე: ოპოზიცია ეყრდნობოდა ISFED-ის „რევოლუციურ“ დასკვნას...

**„სამართლიანი არჩევნების“ (ISFED) ხელმძღვანელი „რევოლუციური სცენარის“ განვითარებას ნებით უწყობდა ხელს თუ უნებლიეთ, ეს მე არ ვიცი და ამას ვერ დავაბრალებ, — „მაგრამ ეს რომ იყო რევოლუციური სცენარის ხელშემწყობი ფაქტორი და მთავარი საყრდენი, ეს ყველაფრიდან ჩანდა. როდესაც ოპოზიცია საუბრობდა არჩევნების სისტემურ გაყალბებაზე, მთავარი რასაც ეყრდნობოდა, ეს იყო PVT და ორი მაჩვენებელი და ორივე უკავშირდებოდა ISFED-ს. ეს იყო PVT-ს მაჩვენებელი და მეორე 8%-იანი უბნების მაჩვენებელი და ერთიც და მეორეც არის ტყუილი“,** — განაცხადა კობახიძემ.

მისი თქმით, პირველი ტყუილი „ქართულმა ოცნებამ“ დაამტკიცა და ეს უკვე აღიარა ISFED-მა. **„ახლა ვითხოვთ „სამართლიანი არჩევნებისგან“ დამატებით ინფორმაციას, რომელიც დაადასტურებს იმასაც, რომ 8%-იანი პრობლემური უბნების მაჩვენებელი არის კიდევ ერთი ტყუილი. საბოლოო ჯამში ამ ორ ტყუილს დაეფუძნა რადიკალური ოპოზიცია, როდესაც ისინი აწყობდნენ თავის რევოლუციურ გეგმებს. ასეთ დროს შენ უნდა იგრძნო პასუხისმგებლობა, თუმცა ორგანიზაციის ხელმძღვანელის პასუხები, არის არათავსებადი იმ მოცემულობასთან, რომელიც მას აქვს შექმნილი“,** — აღნიშნა კობახიძემ.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ განმარტავს, რომ 31 ოქტომბრის არჩევნების პარალელური დათვლის შიდა აუდიტის შედეგებმა დაადასტურა PVT მეთოდოლოგის სიზუსტე და დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობა, თუმცა, გამოვლინდა ხარვეზი საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების გამოსათვლელ ფორმულაში. კერძოდ, საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებულ ხმებთან ერთად, დაითვალეს ბათილი ბიულეტენებიც, რისი გასწორების შედეგადაც საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების პროცენტული რაოდენობა უმნიშვნელოდ შეიცვალა.



## გრიგოლ ვაშაძემ ნაციონალებს აუტლინკა...

**„მე გადავწყვიტე, დავტოვო ყველა დაკავებული თანამდებობა და გავიდე პარტიიდან. უაღრესად მიძნელდება ეს ნაბიჯი, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.**

**2017 წლის იანვრიდან, ოთხი წლის განმავლობაში, ვცდილობდი, გამეკეთებინა ყველაფერი, რაც ჩემს მოკრძალებულ ძალებში იყო, იმისთვის, რომ პარტია გაზრდილიყო, გაეძლიერებინა საკუთარი პოზიციები, დარჩენილიყო მთავარ ოპოზიციურ გაერთიანებად და შედეგად მიეღო საქართველოს მოქალაქისგან მანდატი ხელისუფლებაში დასაბრუნებლად.**

**ვფიქრობ, ჩვენ ბევრ რამეს მივაღწიეთ, მაგრამ არის ფაქტები, რომლებსაც მე კატეგორიულად ვერ შევეგუები. არ ვეთანხმები პარტიის ხელმძღვანელობის უმრავლესობის მიერ პარტიის წევრებთან კონსულტაციების გარეშე არჩეულ ტაქტიკას.**

**კიდევ უფრო მიუღებელია ჩემთვის პარტიული სტრატეგიის არარსებობა.**

**ეს მხოლოდ ე. წ. ქართულ ოცნებას აძლევს ხელს. ვერ შევეგუები იმას, რომ პარტიის გარშემო და მის შიგნითაც გამოჩნდნენ ისეთი ოდიოზური ფიგურები, რომლებიც ჩვენ კარგა ხანია თითქოს და ჩავაბარეთ წარსულს, და რომლებთან ერთად ვერასდროს, ვიმეორებ, ვერასდროს ვერ მოვიპოვებთ ამომრჩევლის ნდობას.**

**შეუძლებელია, ღრმა აღშფოთებას არ იწვევდეს ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეების დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელთა წინააღმდეგ გაჩაღებული თავდასხმებისა და შეურაცხყოფის კამპანია, რომელიც გაუგებარია ვინ, და რა მიზნით წამოიწყო. ამით ადგება უდიდესი ზიანი საქართველოს ურთიერთობებს აშშ-სთან, ევროკავშირთან და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან.**

**იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ამ კამპანიის მონაწილეებს არასდროს გაუგიათ, რომ ელჩზე თავდასხმა იგივეა, რაც თავდასხმა იმ სახელმწიფოზე, რომელსაც ის წარმოადგენს, და რომელიც დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საქართველოს მოქალაქესთან ერთად ჩვენი სახელმწიფოს და ტერიტორიული მთლიანობის სადარაჯოზე დგას.**

**ბოდიშს ვუხდი ჩვენ მეგობრებს! პრობლემების ჩამოთვლას აღარ გავაგრძელებ, რადგან კერძო საუბრებში მათზე თავად პარტიის წევრები საუბრობენ.**

**ჩემთვის უმცირესობაში ან საერთოდ მარტო დარჩენა პრობლემას არ წარმოადგენს. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მე არ შემიძლია ვიყო იქ, სადაც ვერ ვხედავ შეცდომებზე სწავლის შესაძლებლობას და სურვილს.**

**შეიძლება ვცდები. მივენდოთ მომავალს. ვფიქრობ, რომ ჩვენ მომავალი ძალიან მალე განგვსჯის. უმორჩილესი თხოვნა მაქვს ჩვენს პატივცემულ ჟურნალისტებთან — არ მაიძულოთ ტელეფონის გამორთვა.**

**არ ვაპირებ ინტერვიუების ან კომენტარების გაცემას, არც თოქ-შოუებში მონაწილეობას. პარტიის წევრებს ვემშვიდობები სიყვარულით, და ვუსურვებ მათ, ძალიან მალე მიეღწიოთ ნანატრი გამარჯვებისთვის!“,** — წერს გრიგოლ ვაშაძე.

## გვარამია კვადრატში...

(პირველი გვერდიდან)

ერთი სიტყვით, აღარც თეატრში სიარული გვინდა, აღარც კინოთეატრში: ვუყუროთ უკვე თითქმის შესაბრალისად დამთხვეულ გვარამიას კვადრატში და ვიცინოთ, მაგრამ, ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს პოლიტიკური კაცუნა კვადრატზე არ გაჩერდება, ბევრად, ძალიან ბევრად საშიში იქნება ჩვენი საზოგადოებისთვის გვარამია კუბში, რამეთუ საამისო ნიადაგს უკვე ქმნის: შიგადაშიგ თავს ისაწყლებს, უფრო სწორად მსმენელ-მაყურებელს თავს აცოდებს; შემომითვალეს, რომ მალე დამიჭერენო, მე შეიძლება რომ მომკლან, დამხვრიტონ, მაგრამ ვერ შემაშინებენო, მშიშარა გვარამია ჯერ არავის არ უნახავსო და მუდმივად გაუთავებელი ბაქიბუქი არც თავის სიღარიბეზე ლაპარაკი ავიწყდება: ერთი სამოთახიანი ბინა მაქვს და ბეთანიაში ჩემი ცოლის სოფოს დაუმთავრებელი აგარაკიო. მთელ ჩვენს შემოსავალს ჩვენი შვილების განათლებას ვახმართო. უფროსი ბიჭი ამერიკაში სწავლობსო, სადაც მეც მივიღე აკადემიური განათლებაო, უკვე რვა წელიწადია, ჩემს ცოლშვილს უთვალთვალებენო, შვილები დამიავადმყოფესო... და „ოცნების“ სალანძღავტექსტიან რვეულს ნაძალადევად ცრემლმომდგარ თვალებზე იფარებს.

ვუცქერი ამ პოლიტიკურ ტაკიმასხარას და ვფიქრობ: ნუთუ საშველი არ უნდა დაადგეს ამ ვითომ ოპოზიციურ ომს, რაც ბევრ წილად თვითონ „ოცნების“ ბრალიც არის, რადგან დღემდე მტკიცე პრინციპულობას არ იჩენს ისეთი მტრული, მავ:ნებლური ძალის მიმართ, როგორიც ქვეყნის სათავეში მესამედ მოსვლისთვის გაგიჟებული ნაციონალური მოძრაობაა, რომელსაც თავის ტყვეობაში ჰყავს, ეგრეთ წოდებულ „ევროპულ საქართველოსთან“ ერთად, ორ და სამპროცენტიანი ჯერჯერობით აშკარად უპრინციპო პატარა პარტიები.

დღეს თუ გვარამია კვადრატშია და ხვალ კუბში იქნება, ნაციონალებსაც რა დაუშლის, უნდა ველოდოთ, რომ იმათაც მალე ვიხილავთ როგორც კვადრატში, ისე კუბში, რაც ჯანყსა და ამბოხს ნიშნავს, რასაც დროზე უნდა მიხედვა, არადა, ზედგამოჭრილი იქნება „ოცნებაზე“; კაცი რომ თავის თავს უზამს, მტერი არ მოეკიდებაო.

**ვახტანგ ჯაყელი,**
**ფილოლოგი,**
**ქ. ბათუმიდან.**

## კახა კუჭავა: გრიგოლ ვაშაძემ დაადასტურა ის, რაზეც ჩვენ დიდი ხანია ვსაუბრობთ!



კახა კუჭავას თქმით, გრიგოლ ვაშაძის განცხადება, რომ ვერ ეგუება სტრატეგიული პარტნიორების მიმართ გამოთქმულ შეტევებსა და ლანძღვა-გინებას, მისაღები უნდა იყოს ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც მიიჩნევს, რომ ქვეყანას დასავლეთისკენ სწრაფვის გარდა, სხვა გზა არა აქვს.

**„მათ არა თუ სტრატეგია არ გააჩნიათ, რეალურად, ერთ-ერთ ყველაზე დიდ ანტიდასავლურ ძალად ყალიბდებიან. მისი კომენტარი, რომ ის ვერ ეგუება ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების მიმართ გამოთქმულ შეტევებს და ლანძღვა-გინებას, მისაღები უნდა იყოს ყველა იმ ქართველისთვის ვინც თვლის, რომ ამ ქვეყანას არა აქვს სხვა გზა, თუ არა დასავლეთისკენ სწრაფვა. მან ეს ვერ დაინახა იმ პარტიაში, რომელსაც თავი ყოველთვის მოჰქონდა პროდასავლურ და პროევროპულ ძალად. ამ ბოლო პერიოდში რეალურად, ძალიან კარგად მოხდა მათი ლუსტრაცია, რომ წარმოადგენენ ძალიან ძლიერ ანტიდასავლურ ძალას. ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება. დანარჩენ დეტალებზე ალბათ თვითონ ისაუბრებს“,** — განაცხადა კუჭავამ. კითხვაზე „რა პერსპექტივა აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“ და გრიგოლ ვაშაძეს, კუჭავამ განაცხადა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ამ ქვეყანაში პერსპექტივა დიდი ხანია, არა აქვს!..

## 2008 წლის ომის საქმეზე სტრასბურგი გადაწყვეტილებას იანვარში გამოაცხადებს



— იუწყება საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, აგვისტოს ომის საქმეზე საქართველო რუსეთს ადანაშაულებს ევროპული კონვენციის 8 მუხლის დარღვევაში. კერძოდ, საქართველო მიიჩნევს, რომ რუსეთმა ომისა და შემდგომი ოკუპაციის დროს დაარღვია ევროპული კონვენციის შემდეგი მუხლები: სიცოცხლის უფლება (მე-2 მუხლი); წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა (მე-3 მუხლი); თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (მე-5 მუხლი); პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება (მე-8 მუხლი); სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება (მე-13 მუხლი); საკუთრების დაცვა (I დამატებითი ოქმის I მუხლი); განათლების უფლება (I დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი); მიმოსვლის თავისუფლება (მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი).

**„რუსეთთან მეორე სახელმწიფოთაშორისი დავის მოსაგებად საქართველომ წარადგინა მყარი პოზიციები და მტკიცებულებები, რისთვისაც იუსტიციის სამინისტრომ უზარმაზარი სამუშაო გასწია 2013 წლიდან. 2016 წლის 6-17 ივნისს სტრასბურგში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ჯამში, 33 მოწმეს მოუსმინა (მოწმეები გამოძახებულნი იყვნენ როგორც საქართველოს და რუსეთის მიერ, ისე სასამართლოს ინიციატივით). საქმეზე არსებითი მხარის განხილვის დაწყების შემდეგ — 2013 წლის 8 ოქტომბრიდან — დღემდე შესწავლილ იქნა სხვადასხვა წყაროში არსებული ფართომასშტაბიანი, კომპლექსური და დიდი ოდენობის დოკუმენტი /მტკიცებულება. მათი ხარისხის შეფასების შედეგად შეირჩა და სხვადასხვა დროს სტრასბურგის სასამართლოს საქართველოს მხრიდან წარედგინა 700-მდე მტკიცებულება (მათ შორის, ვიდეო- და ფოტომასალები, რადარის მონაცემები, ექსპერტის დასკვნები, სამეთვალყურეო კამერის ჩანაწერები, სეისმური სადგურის მიერ აფეთქებების დამადასტურებელი ჩანაწერები, მოწმეთა ჩვენებები, სატელიტური სურათები, მედიის მასალები, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები, სატელეფონო მიყურადების ჩანაწერები, განაღმვის ანგარიშები, გორში აფეთქებული „ისკანდერის“ ნაწილები და მათზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნები და სხვ.) და არაერთი დოკუმენტი შესაბამისი ანალიზითა და არგუმენტებით“,** — აცხადებენ სამინისტროში.

ევროპული სასამართლოს დიდი პალატის წინაშე ბოლო ზეპირი მოსმენა 2018 წლის 23 მაისს გაიმართა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ასევე მყარი პოზიციებითა და მტკიცებულებებით წარსდგა.

# პარლამენტში სხდომათა დარბაზია და მის გარეთ ნაგვის ბუნკერები...



**მე-10 მოწვევის პარლამენტის გახსნის დღეს ოპოზიციის ადგილები ცარიელი იყო. პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის პარალელურად, ისინი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან შეიკრიბნენ და 5-მა ოპოზიციურმა პარტიამ რაღაც დოკუმენტები გააფორმა.**

**მოვლენების ასეთ განვითარებას, ანალიტიკოსი დავით ქართველიშვილი ასე ხსნის — პარლამენტში სხდომათა დარბაზია და მის გარეთ კი ნაგვის ბუნკერები. ოპოზიცია თემურ ალასანიასა და მიხეილ სააკაშვილის ზეგავლენის ქვეშ არიან მოქცეულნი და რუსულ პროპაგანდას ეწევიან!..**



**— მე-10 მოწვევის პარლამენტი მუშაობას შეუდგა, თუმცა გვაქვს ორი მოცემულობა — მმართველი გუნდი — პარლამენტში, მის გარეთ კი — ოპოზიცია. ქართულ პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებს როგორ შეაფასებდით?**

— პარლამენტის შიგნით არის სხდომთა დარბაზი, მის გარეთ კი ნაგვის ბუნკერებია. 9 პოლიტიკურ პარტიას ქართველმა ამომრჩეველმა ნდობა გამოუცხადა, ხმა მისცა და თითოეული მათგანი გამარჯვებულია. ცალკე პოლიტიკურმა სუბიექტებმა შიგნით შესვლა და ქვეყნის ურთულეს პირობებში ხვალინდელ დღეზე ზრუნვა არჩიეს. ამ მხარეს არის ევროკავშირი, აშშ და ისინი პარლამენტის პირველი სხდომის დასწრებით ადასტურებენ და მხარს უჭერენ ამომრჩევლის ნებას. ისინი ხელისუფლების გვერდით დგანან. პარლამენტის პირველ სხდომამდე აშშ-ის მხრიდან დაანონსდა საინტერესო შემოთავაზებები. ისაუბრეს იმაზე, რომ კოვიდით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ამერიკის ხელისუფლება გადახედავს თავის საინვესტიციო შემოთავაზებებსა და გაზრდის თავის ინვესტიციას. 2021 წელს აქტიურად ითანამშრომლებს „აწარმოე საქართველოსთან“. აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო უახლოესი აღჭურვილობით გვამარაგებს და ზრუნავს იმაზე, რომ საქართველომ თავდაცვა გააძლიეროს იმ პირობებში, რომ ჩვენი ქვეყანა გარშემორტყმულია რუსული ჯარებით. რუსული ჯარი ასევე მთიან ყარაბაღში დგას, ჩრდილოეთიდან კი ცხინვალშია განთავსებული და ნახევარი აფხაზეთი სამხედროებით ჰყავს ოკუპირებული. ამ პირობებში ყველა მხარდაჭერას გვიცხადებს, გარდა იმ მარგინალური პოლიტიკური პარტიებისა, რომელსაც სულ სხვა მიზნები ამოძრავებთ. ისინი არც ქართულ თამაშს თამაშობენ და არც პროდასავლურ პოზიციებზე დგანან. ისინი საქართველოში ვის ინტერესებს ატარებენ, მარტივი გამოსაცნობია.

**— როგორ ფიქრობთ ოპოზიცია საბოლოოდ იტყვის მანდატებზე უარს?**

— „ქართული ოცნების“ გარდა, დანარჩენ 8 სუბიექტში გააჩნია, ვინ რა თამაშს თამაშობს და ვის მიმართ რა ვალდებულებები აქვთ. ერთმნიშვნელოვნად, თემურ ალასანიას, მიხეილ სააკაშვილისა და ნიკა გვარამიასთან მიმართებაში, ზოგს სხვა ვალდებულებები და სულ სხვა მიზნები ამოძრავებს, ეს მიზნები არის საქართველოს დასუსტება. ეს არის საბოტაჟი ყოველდღიურ პოლიტიკურ საქმიანობაში. ამ მავნებლების გვერდით ვინც დგას, მათ, რა თქმა უნდა, არანაირად არ აწყობთ პარლამენტში შესვლა. მათ აწყობთ მხოლოდ და მხოლოდ ისეთ პარლამენტში შესვლა, სადაც უმრავლესობას ისინი წარმოადგენენ, მაგრამ ქართველმა ხალხმა მათ პირველი დარტყმა 2012 წელს მიაყენა და მეორე დარტყმა კი 2016 წელს. მათი უმრავლესობით ხელისუფლებაში დაბრუნება წარმოუდგენელია. მათ აწყობთ დესტრუქცია და ამ დესტრუქციის დამკვეთია რუსეთის სპეცსამსახურების ღვაწლმოსული მუშაკი თემურ ალასანია, თავის დისშვილთან ერთად. მაგრამ, არიან პატარა პარტიებიც, ვისაც მათთან ურთიერთობა არ სურთ და არ უნდათ კრემლის თამაშებში მონაწილობის მიღება. ამიტომ, ისინი ბოლო მომენტამდე აკვირდებიან, რასთან ჰქონდათ საქმე. პირველ სხდომას რომ არ დაესწრნენ, ვაპატიოთ. თუნდაც, ალეკო ელისაშვილი, რომელიც ამბობს, რომ ის ბოკერია-სააკაშვილი-უგულავას თამაშს არ ითამაშებს. ის ხვალ თუ არა ზეგ, შეუერთდება „ქართულ ოცნებას“. ის ამ ნაბიჯის გადადგმას „გირჩისაგანაც“ ელოდება. ეს პარლამენტი არც და ვერც იქნება ერთპარტიული.

**— შეგიძლიათ კონკრეტული პოლიტიკოსები დაგვისახელოთ, რომლებიც თემურ ალასანიასა და მიხეილ სააკაშვილის თამაშს თამაშობენ?**

— ნინო ბურჯანაძე, რომელიც ვლადიმერ პუტინის პირადი მეგობარია. გრიგოლ ვაშაძე - რუსეთის დიპლომატიური სკოლის გაზრდილი. ელენე ხოშტარია, რომელსაც რუსეთის საგარეო დაზვერვის ქვეშ მყოფმა პრიმაკოვმა, საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი დაამთავრებინა. გიგა ბოკერია, რომლის სიდედრიც დღესაც „თელასში“ მუშაობს და მისი უშუალო ხელმძღვანელი იყო კაგებეს გენერალ-მაიორი სტეპანიანი. მათ სიას რომ გადავხედოთ, 60%-ზე მეტი ასე თუ ისე დაკავშირებულია რუსეთის კრემლის ინტერესებთან, ან რუსეთის სპეცსამსახურებთან. ამიტომ, მათ აუცილებლად რევოლუციური სცენარის განვითარება სჭირდებათ და არა ცივილიზებულად ქვეყნის აღმშენებლობაში მონაწილეობა.

**— თქვენს მიერ ჩამოთვლილი პოლიტიკოსები პირიქით, ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ ადანაშაულებენ რუსეთთან ურთიერთობაში...**

— ამაშია მათი ყველაზე დიდი მზაკვრობა. ჩვენ იმათ კი არ უნდა ვუჯერებდეთ და გვჯეროდეს, ისინი რას იტყვიან, ჩვენ თითოეულ მათგანს იმ რეალურ ნაბიჯებით და ქმედებებით უნდა ვაფასებდეთ, რასაც ახორციელებენ. ქმედებებით ისინი ახორციელებენ კრემლის თამაშებს. თამაშობდნენ, როდესაც ხელისუფლებაში იყვნენ და აგრძელებენ, 8 წელია, რაც ოპოზიციაში არიან. მათი ხელისუფლების პერიოდში საქართველო დააქუცმაცეს. აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ოფიციალურად შემოიყვანეს რუსის ჯარი.

**— დღევანდელი საპარლამენტო ვითარება ქვეყნის იმიჯზე როგორ იმოქმედებს?**

— არანაირად არ დააზარალებს. საკონსტიტუციო უმრავლესობა საჭიროა მხოლოდ კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად. ის კონსტიტუცია, რომელიც დღეს მოქმედებს, სავსებით აკმაყოფილებს, როგორც საქართველოს მოთხოვნილებას, ასევე თავის დროზე საერთაშორისო ორგანიზაციებთანაც არის შეთანხმებული. ამ კონსტიტუციის ფონზე, პარლამენტში ოპოზიციის არც ერთი წევრი რომ არ შევიდეს, ხელისუფლებას ხელში იმდენი ბერკეტი უჭირავს, რომ საჭირბოროტო საკითხებზე უპრობლემოდ იმუშავებს. პირიქით, უფრო კომფორტულად იმუშავებს, რადგან პარლამენტში არ ეყოლებათ მუდმივ საბოტაჟზე მყოფი ოპოზიცია.

**ესაუბრა**
**ქეთი გიორგაძე**

## ევროკავშირმა საქართველოს COVID-19-ის კრიზისის დასაძლევად 60 მლნ ევროს ოდენობის გრანტი გამოუყო

**ამ დღეებში ევროკავშირმა საქართველოს 60 მილიონი ევროს (დაახლოებით 240 მილიონი ლარი) ოდენობის გრანტი გამოუყო COVID-19-ს კრიზისის დასაძლევად,** — ამის შესახებ ინფორმაციას ევროკავშირის წარმომადგენლობა ავრცელებს.

ეს სახსრები განკუთვნილია საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის განხორციელების მხარდასაჭერად.

**„ევროკავშირი აგრძელებს საქართველოს მტკიცე მხარდაჭერას პანდემიის პერიოდში. აღნიშნული 240 მილიონი ლარის ოდენობის გრანტი არის იმ 1.5 მილიარდი ლარის მოცულობის დახმარების ნაწილი, რომლის მობილიზება ევროკავშირმა და ევროპის გუნდმა მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოახდინა და რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მთავრობის მხარდაჭერას პანდემიასთან ბრძოლაში, აგრეთვე, საქართველოს მოქალაქეების მხარდაჭერას იმ მწვავე გამოწვევებთან გამკლავებაში, რომელთა წინაშეც ძალიან ბევრი ადამიანი აღმოჩნდა“,** — აცხადებს ევროკავშირის ელჩი საქართველოში კარლ ჰარცელი.

მათივე ინფორმაციით, აღნიშნული სახსრები პირველი ტრანშია იმ 75 მილიონი ევროდან (დაახლოებით 300 მილიონი ლარი), რომელიც „ COVID-19 მიმართ საქართველოს მდგრადობის ხელშეკრულებით“ არის განსაზღვრული და რომლის მეშვეობითაც ევროკავშირი დაეხმარება საქართველოს ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის განხორციელებაში. გეგმა მოიცავს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია შემოსავლის წყაროების დაკარგვით გამოწვეული ნეგატიური ზეგავლენის შემცირება, სამუშაო ადგილების შენარჩუნების ხელშეწყობა, ბიზნესის მხარდაჭერა და ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება. ევროკავშირის მიერ უზრუნველყოფილი დახმარების მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეებისა და ბიზნესების მხარდაჭერა პანდემიის უარყოფითი შედეგების გამოსწორებაში.

**„გადაწყვეტილება აღნიშნული სახსრების გამოყოფის შესახებ მიღებულ იქნა მთავრობის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის, ეკონომიკური პოლიტიკის, სახელმწიფო ფინანსური რესურსების მართვისა და ბიუჯეტის გამჭვირვალობის დადასტურების შემდეგ. დარჩენილი თანხის გამოყოფა მოხდება მთავრობის მიერ გატარებული ზომების შეფასების საფუძველზე, რომლებიც შეეხება სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სოციალური დახმარების გაწევას, ბიზნესების მხარდაჭერას სამუშაო ადგილების შენარჩუნების თვალსაზრისით და ინტენსიური თერაპიის საწოლების რაოდენობის გაზრდას.**

**აღნიშნულ ტრანშს წინ უსწრებდა მაკროფინანსური დახმარებისთვის 100 მილიონი ევროს (დაახლოებით 400 მილიონი ლარის) ოდენობის სესხის გამოყოფა, რომელიც მიმდინარე წლის 25 ნოემბერს განხორციელდა. ორივე ტრანში არის 1.5 მილიარდი ლარის მოცულობის მთლიანი დახმარების პაკეტის ნაწილი, რომელიც ასევე ითვალისწინებს საქართველოს ჯანდაცვის სისტემის, სოციალური სფეროსა და ეკონომიკის აღდგენის მხარდაჭერას“,** — აღნიშნულია ინფორმაციაში.

**სულაც არ მეხუმრება!**

# ვიყოთ ოთხი წელი ერთპარტიული, არაფერი დაშავდება!

**რატომაა** სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი პარლამენტში შესვლა-არშესვლა?! წინა მოწვევის პარლამენტიც, ფაქტობრივად, ერთპარტიული იყო! ყველა საკითხს მმართველი პარტია წყვეტდა, სხვა ყველაფერი ფუჭი ლაყბობა გახლდათ... ასე იქნება მუდამ, ასეა მთელ მსოფლიოში.

ევროპამ, დასავლეთმა შეიძლება გვითხრას, მრავალპარტიული პარლამენტი ჯობიაო, მაგრამ მათ ხომ კარგად იციან, რაც მოხდა. არჩევნებში ცხრა პარტიამ იმარჯვა... დღევანდელი ერთპარტიულობა, რომელიც, ჩემი აზრით, დროებითი მოვლენაა, ხელოვნურად შექმნილი ერთპარტიულობაა, შანტაჟია. მათ არ აინტერესებთ ქვეყანა, ისინი შეპყრობილნი არიან რევანშის „პანდემიით“ და ყველაფერს „წვავენ“ ამ გზაზე. იმ ლოგიკას, რა ლოგიკითაც ოპოზიცია არ შედის პარლამენტში, მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც თუ გაიზიარებენ, ძალიან მალე, მთელი მსოფლიო ერთპარტიული გახდება.

რატომაა ასე საშიში ერთპარტიულობა? 70 წელიწადი ერთპარტიული არ ვიყავით? შიმშილით თითქმის არავინ მომკვდარა, კავის ქვეყნიდან ატომის ქვეყნად ვიქეცით, კოსმოსი დავიპყარით, უსასტიკესი მეორე მსოფლიო ომი მოვიგეთ... ამ ერთპარტიულმა ქვეყანამ შექმნა უბრწყინვალესი ფილმები და სპექტაკლები, დიდი ლიტერატურა, გასაოცარი მემორიალები, მონუმენტები, არქიტექტურა, რომელიც დღეს მიუღწეველია და სხვა და სხვა. ჰოდა, ვიყოთ კიდევ ოთხი წელი ერთპარტიული, ნამდვილად არ დაიქცევა ქვეყანა.

ასეული ათასობით ადამიანს, მათ შორის მეც, პოზიცია-ოპოზიცია სულაც არ გვაინტერესებს. უმთავრესია ქვეყნის, სამშობლოს ინტერესები, საქართველო, უპირველეს ყოვლისა!



ოპოზიციამ (ისევე როგორც პოზიციამ) მრავალი შეცდომა დაუშვა, მაგრამ ეს ბოლო აქტი, თვითმკვლელობაა!!!

**ვახტანგ დავითაია,**
**არქიტექტორი**

**P.S.** **რამდენადაც ვიცი, დღევანდელი ჩინეთიც ერთპარტიულია, რასაც ხელი არ შეუშლია, უმოკლეს დროში, ეკონომიკური სასწაულები მოეხდინა. ნუ დამწამებთ ავტორიტარიზმისადმი სიმპათიებს, ზედმეტ პატივისცემას. ეს სინამდვილეა!**

№ 180-181. ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 16-17 დეკემბერი, 2020 წელი.

# ელიზბარ ჯაველიძე: საბრალდებო დასკვნა მიხოსთვის!





**შეშინებული, მორჩილი საზოგადოება დუმდა. გულმოკლული დედის ქვითინი და მოთქმა არღვევდა მყუდროებას, მაგრამ „დემოკრატ“ ხელისუფალს, თავის ძალოვნებით თავბრუდახვეულს, ეს არ ესმოდა!.. ესმოდა კი არა, ეს აღიზიანებდა და უფრორე მეტად, უძლიერებდა ადამიანის სისხლის დალევრის ჟინს და ვითარც სისხლდაწყურებული მხეცი მომდევნო მკვლელობას აღტყინებით ელოდა.**

(პირველი გვერდიდან)

**წარსულის ეს მეტაფორული სურათი, იმიტომ მოვიხმე, რომ იგი გვაგონებს ჩვენს დღევანდელ უკუღმართ ყოფას და ტრაგედიას, ნაციონალური მოძრაობის ბელადმა მიხომ და მისმა თანამებრძოლმა მიხუინებმა რომ დაატეხეს ჩვენს ბედკრულ ქვეყანას. ეს ის ხანა იყო, როცა „ყვარყვარეობა“ ხარობდა საქართველოში, როცა განუკითხაობა ბატონობდა და უზნეობის თარეში სუფევდა. და, სწორედ ამ გლობალიზაციის მშფოთვარე ჟამს, გარეშე ძალების და, საკუთრივ, მსოფლიო თაღლითის სოროსის დაფინანსებით ამ ყვარყვარემ, პირწავარდნილი მორფინისტების შემწეობით, მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება და იმის ნაცვლად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულის მუხლით დასჯილიყო „ვარდების რევოლუციის“, იმხანად, რომ „ფერადი რევოლუციის“ სახელით ფრიად გავრცელებული იყო ევროპაში, წინამძღოლად და ბელადად აღიარეს ეს მხდალი „ყვარყვარე“ და მასაც თავისი ფუყეობა და სიმხდალე რომ დაემალა, რკინის კვერთხი აიღო ხელში და ქართველი ხალხის მწყემსვა დაიწყო.**

**მისი მმართველობის მთავარი მიზანი იყო ქართველი ხალხის მორჯულება, უფრო სწორად, მონურ მორჩილებაში მოქცევა**. და, რაც მთავარია, საქართველოს ისტორიის მდიდარი კულტურის და განათლების, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების და ეროვნების მოსპობა-განადგურება. ეს არ იყო იოლი საქმე: მან მოირგო ე.წ. „დემოკრატის“ სამოსი, რომლითაც ის ქართველ ხალხს და მსოფლიოს ატყუებდა, მაგრამ მალე მოისროლა ის და ტირანი დესპოტის მათრახი და მახვილი აღიღო ხელში და მძვინვარე მხეცად გადაიქცა.

დემოკრატიულ ველში ადამიანის დესპოტად და მხეცად გარდაქმნას ერთობ შთამბეჭდავად გადმოგვცემს დიდი ბერძენი ფილოსოფოსი **პლატონი** თავის შრომაში „სახელმწიფო“, რომელიც ძალზე მაგონებს მხდალი მიშიკოს მხეცად და დესპოტად — მიხოდ გარდაქმნის პროცესს. ამიტომაც თვალსაჩინოებისთვის ზოგიერთ ადგილს გავიხსენებ: „როცა ახალგაზრდა საკმარის განათლებას მოკლებულია და უცბად იგემებს მუქთახორობის თაფლის გემოს, იგი ხვდება საშიში და მძვინვარე მხეცების გარემოში, რომელთაც შეუძლიათ, მას ყოველგვარი სიამოვნება მიანიჭონ, ნაირგვარი და ფერად-ფერადი... მაშინ იწყება სწორედ „ოლიგარქის“ „დემოკრატად“ გარდაქცევის პროცესი **(559 ე)**. მით უმეტეს, ეს ჩქარდება, როცა შეამჩნევენ, რომ ყმაწვილის სულის აკროპოლი თავისუფალია, იპყრობენ მას, რადგანაც იქ არ არის არც ცოდნა, არც კეთილი ჩვევანი, არც მართალი სიტყვა **(559 ე)**. აი, ამ დროს, როცა დააცარიელებენ ყმაწვილის სულს, მაშინ მას ავსებენ სითავხედით, თავაშვებულობით და გარყვნილებით, განადიდებენ მათ სხვადასხვა სახელით და, რაც მთავარია, თავხედობას უწოდებენ განათლებას, თავაშვებულობას — თავისუფლებას, გარყვნილებას — ამაღლებულ მშვენიერებას, უსირცხვილობას — მამაცობას (560 ე).

აქვე მცირე რემარკა: **მიშას რომ საკმარისი განათლება არ ჰქონდა და მუქთახორული ცხოვრება იტაცებდა და სიამოვნებას იყო აყოლილი, ყოველთვის ცხადია. ახლა, იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ მისი სულის აკროპოლია მთლიანად დაცლილი იყო ცოდნისგან, კეთილი ჩვევებისა და მართალი სიტყვისგან და მის ნაცვლად გაბატონდა ზემორე ჩამოთვლილი თვისებანი, სავსებით ცხადი გახდება, რომ ოლიგარქული ბუნების მიშა მოჩვენებით დემოკრატად გარდაიქცა. ვგონებთ, ეს მისი გარდაქმნა ეჭვს არ იწვევს.**

კვლავ ფილოსოფოსს მოვუსმინო: მისი აზრით, როცა სახელმწიფო წყობა ე.წ. დემოკრატიის ფასადით იმოსება, სინამდვილეში კი დამპალ ნიადაგზეა აღმოცენებული, მაშინ ის გვაგონებს ბებერ პატარძალს, ფერუმარილით რომ ითხუპნება და ცდილობს, თავისი დანაოჭებული სახე და მყრალი სული ჭარბი მაკიაჟით და თავისუფლების ვუალით დამალოს, მაგრამ, სინამდვილეში, როგორც კი დემოკრატიის მაუწყებელი ენძელა თავს წამოყოფდა, მაშინვე ძალმომრეობის ტარით ტორავდა მას... ახლა, თუ მთლად არ დავკარგეთ მახსოვრობის უნარი, გავიხსენოთ, როგორ აფრიალებდა მიშიკო დემოკრატიის დროშას, ვარდებით როგორ რთავდა თბილისის ქუჩებს, რათა თავისი ძალმომრეობით განადგურებული უდანაშაულო ადამიანთა სისხლის კვალი დაეფარა და თავისი ბოროტი სულის სიმყრალე ვარდის სურნელით გადაეფარა. ერთხანს ამას ახერხებდა.

მაგრამ, თუ პლატონს დავუჯერებთ, ის, ვინც იგემა „ადამიანის წვრილად დაჭრილი შინაგანობა შეწირულ ცხოველების ხორცთან ერთად“, ის გარდაუვლად იქცევა მგლად. სწორედ ასევე ემართება „ხალხთა წარმომადგენლებსაც, როცა მათ ჰყავთ ზედმეტად მორჩილი ბრბო, განა ისინი უარს იტყვიან თავიანთ თანამემამულეთა სისხლის სმაზე?! — კითხულობს პლატონი და აგრძელებს — პირიქით, ისინი უმართებულო ბრალდებებით მათ სასამართლოს გადასცემენ, სიცოცხლესართმევენ და თავიანთი უწმინდური ბაგეებით და ენით მოყვარეთა მკვლელობით პირს იგემრიელებენ“...

**ასეთ ვითარებაში აღმოჩენილ არსებას ისღა დარჩენია — ასკვნის ფილოსოფოსი, რომ ან თავის მტრების ხელით უნდა განიგმიროს, ანდა იქცეს ტირანად და ადამიანობიდან მგლად გარდაიქმნას“.**

მგლობის რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენი კურდღელივით მშიშარა მიშა — რა არის ხალხი, არ გამოფხიზლდეს და პასუხი არ მაგებინოს, ტირანად გარდაიქცა და თავისი მიხუინების წაქეზებით და შთაგონებით ყოვლისშემძლეობის და დაუსჯელობის განცდა დაეუფლა და, როგორც მოეპრიანებოდა, ისე სჯიდა უდანაშაულო ადამიანებს, უპრაკუნოდ ხოცავდა და მათი სისხლის დალევის ჟინს იკლავდა. ქვეცნობიერად თუ ცნობიერად იქმოდა იმას, რასაც ნორმალურ ადამიანს ფიქრადაც არ მოუვიდოდა, თავს კალიგულად წარმოიდგენს და თავისი ვერაგობით, სიბილწით, გარყვნილებით და შინაგანი ღვარძლით იმდენად დაემსგავსა ტირანს, რომ გამიჩნდა სურვილი, მათი ფიზიკური თუ სულიერი თვისებები, ხასიათები და ქცევები შედარებით სპექტრში წარმოეჩინა და შედეგმაც არ დააყოვნა. დიაგრამულმა სურათმა ოცგზის ურთიერთიდენტური ნიშანი გვიჩვენა **(იხ. ელიზბარ ჯაველიძე, საქართველოში უზნეობის სუფევს თარეში, თბ.: 2012 წ. გვ. 47-66)**.

**ცხადია, ამჯერად არ ვაპირებ, მათი შედარებითი სურათის ვრცლად მოხმობას, მაგრამ რამდენიმე სიტყვით ეს მათი იდენტურობა შეიძლება ასე გადმოიცეს: ა) უზომო თვითდაჯერებულობა და იმავდროულად, სიმხდალე და შიში; ბ) შურისა და ღვარძლის სიჭარბე, სახელოვან წინაპართა უდიერად მოხსენიება და მათი ძეგლების მსხვრევა-განადგურება; გ) სისხლის სამართლის და ყოველგვარი კანონების საკუთარ თავზე მორგება და მათი განხორციელება; დ) თავის მეგობართა და თანამებრძოლთა დამდაბლება და სასიკვდილოდ გაწირვა; ე) „დე ვძულდეთ, ოღონდ ეშინოდეთ“, პრინციპი მათი მოღვაწეობისა; ვ. უდანაშაულო ადამიანების წამების გაუგონარი ფორმები და მეთოდები და ამ წამების ხილვით გამოწვეული ნეტარება; ზ) საკუთარი თავის წარმოსაჩენად უაზრო ბრძოლების წამოწყება და მარცხის სხვაზე გადაბრალება და საკუთარი სიმხდალის ათასგვარი ხერხით დამალვა; თ) სახელმწიფო ხაზინის უკანონო ხარჯვა პირადი კეთილდღეობისთვის, ქვეყნის ბიუჯეტის გამოფიტვა და გადასახადების მომატება; ი) მომეტებული გარყვნილობა და საკუთარი ვნების სხვადასხვა ფორმით დაოკება; კ) საერთოდ ადამიანის და განსაკუთრებით კი პატიმრების შეურაცხყოფა და მათი ფიზიკური თუ მორალური განადგურება და სხვ...**

**ამგვარად, ამ მასხარა კალიგულამ და მისმა ერთგულმა და მორჩილმა მიხუინებმა, ანუ ნაცებმა მოგვცეს „დემოკრატიულობის“ გაუგონარი ნიმუში, რომლის შედეგმაც არ შეიძლება ნორმალური ადამიანის აღშფოთება და გაოცება არ გამოიწვიოს,** აი, მგლად ქცეული მიხოს და მის მხარდამხარ მოძუნძულე მგლის ლეკვების, ნაცების ნაღვაწი: ამოშანთეს ეროვნული სული, მოსპეს ათასწლოვანი ეროვნული ტრადიციები, ჩაწიხლეს ზნეობრივი ქცევები და ამორალურობა გააბატონეს, სამეტყველო ლექსიკური ფონდიდან გააქრეს სიტყვა სამშობლო და პატრიოტიზმი, მათი მოსაზრებით გოიმობა და ჩამორჩენილობა რომ არის. მამული კი, მათი ხედვით, საკუთარი ეზოს შემოღობილი ადგილია მხოლოდ, ხოლო მამულისთვის თავდადებულნი აბუჩად ასაგდები პროვინციალები არიან. დააკნინეს ქართული ენა, ლამის დაუკარგეს სახელმწიფო ენის სტატუსი და ორლობის ენად აქციეს. ბრძოლა გამოუცხადეს ჩვენს რწმენას — მართლმადიდებლობას, რომლის წყალობითაც ქართველმა ერმა ქართველობა შეინარჩუნა. არად მიიჩნევენ ქართულ ისტორიას, მის მდიდარ კულტურას. საქართველოს ისტორიის სათავედ მიიჩნიეს თავი, საქართველოს ისტორია ჩვენგან იწყებაო — აცხადებდა გაყეყეჩებული კალიგულა მიხო, რომელმაც ამის სარწმუნოდ დაანგრია ძეგლები, ჩვენს მდიდარ წარსულს რომ გვახსენებდა, მოსპო ქართული ხელოვნება, მწერლობა და ლიტერატურა, მწერალთა კავშირიდან განდევნა მწერლები და იქაურობა „ცელქი“ ქალების სალაღობოდ აქცია.

**მისი ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ ძირითადი დამფინანსებელი და საქვეყნოდ ცნობილი თაღლითი სოროსის მეშვეობით ქართული განათლება თავდაყირა დააყენეს. დაანგრიეს ქართული მეცნიერება, ცნობილი მეცნიერები ამ მართლაც ნამუსგარეცხილმა ჩარეცხილებად მონათლა და ჯერ კიდევ გადარჩენილი მეცნიერებათა აკადემიის, რომელიც დღესაც წარმოადგენს ქართული მეცნიერული აზროვნებისა და ზნეობის ტაძარს, დახურვა და მოსპობა მოინდომა და ამას მიაღწევდა კიდეც, რომ არა ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ძომაგად დაუდგა ქართველ მეცნიერებს და გადაარჩინა ისინი.**

**ამის თაობაზე ეს ხეპრე და უწიგნური თავის ნაბოდვარ წიგნში ლაყბობს და ამაყობს კიდეც. რეგვენი როგორ არ მინახავს, მაგრამ ამდაგვარი არა! ვერ ხვდება, რომ თავის ჩაქაქულს მიირთმევს და ამით თავი მოაქვს კიდეც... მაგრამ ამით როდი ამოიწურება ამ სომეხი ვირის ტლინკების ყრა. მან შეუტია ქართული ოჯახის სიწმინდეს, ტრადიციული ზნეობის საყრდენს ეძგერა, ეცადა ამ ძლიერი ინსტიტუტის დანგრევას და უზნეო და ამორალური ცხოვრება გაიხადა იდეალად: ამაყობდა, „ქართველი ბოზის სახელით გახრწნილი ბოზანდარას „თავისუფალი“ ქცევით... საყვარლად გაიხადა მისი ვაჟის კლასელი ბიჭი, რომელმაც ოპერაცია გაიკეთა და ქალად გადაიქცა. მოინდომა პირველი ღამის წესის დამკვიდრება, ჯერ თავად უნდა ეხმარა და მერე თავის ქვეშევრდომთ ცოლად მოყვანას ურჩევდა და, ვინც არ თანხმდებოდა, მკაცრად სჯიდა. საყვარლები მოიმრავლა და მავანს ჩვენი ფულით ნაყიდ ოქროს სამაჯურს ჩუქნიდა და მავანი კი ისევ ჩვენი ფულით უცხოეთიდან ჩამოჰყავდა, რომ მისი გახრწნილი სხეულისთვის მასაჟი გაეკეთებინა და მისი მამრობითი პოტენცია გაეზარდა და როცა ესეც არ შველოდა, ძუძუების კბენაზე გადადიოდა.**

აქ აღარას ვიტყვი, თუ როგორ დაააყაჩაღეს მან და მისმა ერთგულმა ლეკვებმა მეტ-ნაკლებად შეძლებული ქართველი ბიზნესმენების ქონება და როგორ მიისაკუთრეს ის... აი ასეთი იყო ძალზე მოკლედ ჩვენი სომეხი მიშაჯანი, რომელიც სომხობასაც თაკილობდა და, საერთოდ, ეროვნულობაზე საუბარი სირცხვილად და სათაკილოდ მიაჩნდა, რადგანაც თავს მსოფლიო მოქალაქედ და სამყაროსთვის გაზაფხულის დადგომის მაუწყებელ მერცხლად მოიაზრებდა. მისი მერცხლობის რა მოგახსენოთ, მაგრამ მსოფლიოში „კორონა ვირუსის“ გამავრცელებელი ღამურა კი ნამდვილად იყო და არის!

**მაგრამ დღევანდელი ჩვენი ყოფის უბედურება ის არ ის, რომ ეს სულ ნამცეცა, მხდალი დესპოტი „დემოკრატიის შუქურად“ გამოაცხადეს, ალბათ, იმიტომაც, რომ გაითვალისწინეს მისი ქართველი ხალხის და ერის სულიერი თუ ფიზიკური განადგურების მცდელობა და ის, რაც სინამდვილეში ბოროტება და დესპოტიზმია, დემოკრატიის ნათელ გამოხატულებად მიიჩნიეს.** ალბათ, ამ ყვარყვარეს ღირსებად და წარმატებად მიაჩნიათ ისიც, რომ საქართველო ერთა გადაგვარების საყოველთაო სიაში პირველ ადგილზეა!, მთავარი, და არსებითი მაინც ის არის, რომ ამ დემოგრაფიულ კატასტროფასთან ერთად, ქართველ ხალხს დააკარგვინა ეროვნული ცნობიერება და სიამაყე, რაც მომხდურ მტერთან ბრძოლაში შეუვალს და უდრეკს ხდიდა მას. მეტიც, მისი გარჯით ქართველმა კაცმა დაკარგა ღირსების გრძნობა, რაც უპირობოდ უქადის მას ფიზიკურ და სულიერ განადგურებას!

მაგრამ ამით როდი მთავრდება მიხოსა და მიხუინების „დემოკრატიული“ მოღვაწეობა?! ეს მხოლოდ ავანსცენა იყო, მათი „დემოკრატიული“ ბუნების წარმოსაჩენად, ფარდის მიღმა კი დიდი ტრაგედია თამაშდებოდა: უპირველეს ყოვლისა, ამ ეშმაკისეულმა დაამკვიდრა უკანონობა და არც არის გასაკვირი, რადგანაც ამგვარად აღზრდილ ადამიანში ყოველგვარი იძულება იწვევს აღშფოთებას, როგორც დაუშვებელი რამ... ეს კი მთავრდება იმით, რომ ის და მსგავსნი მისი კანონებსაც, დაწერილს თუ დაუწერელს აღარ უწევენ ანგარიშს, რათა არავის არაფერში დაემორჩილონ **(პლატონი, 563-ე)**. ჩვენმა მიხომ კანონად მიიჩნია ის, რაც მის ნებას ემორჩილებოდა, და რაც მის ეშმაკისეულ ზრახვებს ესადაგებოდა და ამიტომაც, იგი კალიგულას მსგავსად გაჰყვიროდა: „რა კანონი, რის კანონი, კანონი თავად მე ვარო“! და ამას საქმითაც ამტკიცებდა: მისი ნებითა და სურვილით პირდაპირ ქუჩაში, დღისით-მზისით, ყოველგვარი მსჯავრისა და სასამართლოს განაჩენის გარეშე ხოცავდნენ გულმართალ, უდანაშაულო ახალგაზრდებს. ეს არ იყო ცალკეული შემთხვევა, არამედ ამან სისტემური ხასიათი მიიღო და ამ თავზარდამცემმა თავხედობამ და ბოროტებამ, სწორედაც რომ „კანონის“ აუცილებლობა შეიძინა და ასე და ამგვარად, ორასამდე უდანაშაულო ყმაწვილი თუ ძველგაზრდა გამოასალმეს სიცოცხლეს: გირგვლიანი, რობაქიძე, გამცემლიძე, ვაზაგაშვილი, თეთრაძე, შავაძე და მისთ და მისთ... ამასაც არ ჯერდებოდა, და, როცა ჭირისუფალი სამართლის პოვნას მოინდომებდა, მას უმალ უსწორდებოდნენ. აბა, გავიხსენოთ ის თავზარდამცემი ფაქტი, როცა მამა ვაზაგაშვილი თავისი შვილის სიკვდილის ძიებას შეუდგა და ვერაფრით ვერ დააშოშმინეს, იგი თავისი შვილის საფლავზე ააფეთქეს. ეს უკვე ისეთი ბოროტებაა, რომელიც ადამიანურობის ყოველგვარ საზღვარს სცდება და მხოლოდ სატანისეულ მკვლელობად შეიძლება წარმოიდგინო...

გამკითხავები და მომკითხავი კი არავინ იყო, შეშინებული, მორჩილი საზოგადოება დუმდა. **გულმოკლული დედის ქვითინი და მოთქმა არღვევდა მყუდროებას, მაგრამ „დემოკრატ“ ხელისუფალს, თავის ძალოვნებით თავბრუდახვეულს, ეს არ ესმოდა!..** ესმოდა კი არა, ეს აღიზიანებდა და უფრორე მეტად, უძლიერებდა ადამიანის სისხლის დაღვრის ჟინს და ვითარც სისხლდაწყურებული მხეცი მომდევნო მკვლელობას აღტყინებით ელოდა.

**არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ მკვლელობათა ერთ-ერთი მიზეზი ისედაც დაჩაგრული ხალხის შეშინება იყო. თუნდაც გავიხსენოთ დიდი ქართველი პატრიოტისა და მოღვაწის, ცნობილი მეცნიერისა და სიმართლისთვის შეუპოვარი მებრძოლის გურამ შარაძის მკვლელობის სცენა. საჯარო ბიბლიოთეკიდან მომავალ დაღლილ მეცნიერს, მელიქიშვილის ქუჩაზე, მზე რომ არ იყო გადასული, დაქირავებული პროფესიონალი მკვლელი კლავს, საკონტროლო ტყვიასაც ახლის და მშვიდად ტაქსით იქაურობას ეცლება და გურამ შარაძის ცხედარს, სისხლში ამოსვრილს, ორი საათის განმავლობაში, ახლოს არავის არ აკარებენ და არა იმიტომ მკვლელობის კვალი არ წაშლილიყო, არამედ იმიტომ, რომ ქართველებისთვის შეეხსენებინათ: ვინც პატრიოტია და სამშობლოს სიყვარულს ამჟღავნებს, ასეთ დღეში ჩავაგდებთო და მერე, ვისაც კი სიტყვა გვეთქმოდა, გაგვაფრთხილეს, ამ სიკვდილზე საუბარი არ დაიწყოთ, თორემ თქვენც ასეთი სიკვდილი გელითო, მაგრამ ჭეშმარიტი მამულიშვილები ვერც დაადუმეს და ვერც შეაშინეს. ეს დიდი მამულიშვილი კი მამულს ჭეშმარიტად დააკლეს. საგანგაშო ის არის, რომ ნამდვილი მკვლელი დღესაც ლაღობს და მომავალი მკვლელობისთვის ემზადება!..**

## აკადემიკოსი ალბერტ (ალეკო) თავხელიძე:

# ეს სახელი სამუდამოდ დარჩება ქართული მეცნიერების ისტორიაში!



**მიმდინარე წლის 16 დეკემბერს აკადემიკოს ალბერტ თავხელიძეს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა. უკვე 10 წელია, რაც განგებამ ამ ქვეყნიდან წაიყვანა მსოფლიოში ცნობილი ფიზიკოსი, ღირსეული მამულიშვილი, განსაკუთრებული ნიჭით და არაჩვეულებრივი თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი.**

ალბერტ (ალეკო) თავხელიძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი 1986-2005 წლებში. დაიბადა თბილისში 1930 წლის 16 დეკემბერს. 1953 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის (მოსკოვი) ასპირანტურაში. 1956-70 წლებში მუშაობდა ქ. დუბნაში ბირთვულ კვლევათა გაერთიანებულ ინსტიტუტში თეორიული ფიზიკის ლაბორატორიის (ინსტიტუტის) დირექტორის მოადგილედ. ამავე წლებში, სხვადასხვა პერიოდში ა. თავხელიძე შეთავსებით მუშაობდა თეორიული ფიზიკის სექტორის ხელმძღვანელად მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში (ქ. პროტვინო) და ელემენტარულ ნაწილაკთა განყოფილების გამგედ უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის კიევის თეორიული ფიზიკის ინსტიტუტში, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი თვითონვე იყო. 1970-დან 1986 წლის ჩათვლით იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვულ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი.

მიუხედავად იმისა, რომ ა.თავხელიძის სამეცნიერო საქმიანობა ძირითადად რუსეთში და უკრაინაში განლაგებულ სამეცნიერო ინსტიტუტებთან იყო დაკავშირებული, ის არ ჩამოშორებია საქართველოში მიმდინარე სამეცნიერო ცხოვრებას. 1971 წელს, ა. თავხელიძის უშუალო ინიციატივით და აკადემიკოსების ნიკო მუსხელიშვილისა და ილია ვეკუას მხარდაჭერით, ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში გაიხსნა თეორიული ფიზიკის განყოფილება, რომელსაც ბატონი ალეკო ხელმძღვანელობდა დაარსებიდან 2005 წლამდე. 1974 წელს, მისივე დიდი ძალისხმევით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა მაღალი ენერგიების ფიზიკის ლაბორატორია (1980 წლიდან — ინსტიტუტი), რომლის დირექტორი ა. თავხელიძე იყო 1995-2005 წლებში. 1986 წელს ა. თავხელიძე აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად და ის აკადემიას ხელმძღვანელობდა 19 წლის განმავლობაში, 2005 წლამდე. 2005 წელს საქართველოში შექმნილი ახალი პოლიტიკური ვითარების გამო, ა.თავხელიძე გადადგა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თანამდებობიდან და დაბრუნდა მოსკოვში, სადაც 2008-2010 წლებში ხელმძღვანელობდა ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკისა და კოსმოლოგიის კათედრას მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ა. თავხელიძე გარდაიცვალა ქ. მოსკოვში, 2010 წლის 27 თებერვალს, დაკრძალულია მოსკოვში.

დიდია ალბერტ თავხელიძის სამეცნიერო მემკვიდრეობა. ის იდგა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის მაღალი ენერგიების ფიზიკის დარგში რამდენიმე ფუნდამენტური ახალი მიმართულების სათავეებთან, იყო არაერთი მეცნიერული იდეის ინიციატორი და განმხორციელებელი მრავალრიცხოვან მოწაფეებთან ერთად.

მის სახელთან არის დაკავშირებული არადრეკადი პროცესებისთვის დისპერსიულ თანაფარდობათა განზოგადება, რისთვისაც მას სსრკ სახელმწიფო პრემია მიენიჭა 1973 წელს.

ა. ლოგუნოვთან ერთად შემოგვთავაზა ველის კვანტური თეორიის დინამიკური განტოლებების სამგანზომილებიანი ფორმულირება, ცნობილი, როგორც ლოგუნოვ-თავხელიძის კვაზიპოტენციალური მეთოდი. ის წარმატებით გამოიყენება ნაწილაკების ბმული მდგომარეობების და შედგენილი სისტემების გაფანტვის პროცესების შესასწავლად.

ა. ლოგუნოვთან და ლ.სოლოვიოვთან ერთად მიიღო ჯამთა წესები სასრულ ენერგიებზე მეზონ-ნუკლონური გაფანტვის პროცესში, რომელთა საფუძველზე დადგენილ იქნა ე.წ. გლობალური დუალობის თვისებები, რაც შემდგომ საფუძვლად დაედო ჰადრონთა სიმების თეორიას.

ა. თავხელიძემ, ერთ-ერთმა პირველმა, ბ. არბუზოვთან და რ. ფაუსტოვთან ერთად დაადგინა ფერმიონების მასის წარმოქმნის შესაძლებლობა 2-განზომილებიანი ველის კვანტური თეორიის მოდელში სიმეტრიის სპონტანური დარღვევის საფუძველზე.

1965 წელს ა. თავხელიძემ ნ. ბოგოლიუბოვთან და ბ. სტრუმინსკისთან ერთად ამერიკელი ფიზიკოსების ი. ნამბუსა და კ. ჰანის პარალელურად, კვარკებისათვის შემოიტანა დამატებითი კვანტური რიცხვი, შემდგომში „ფერად“ წოდებული, რომლითაც ამოიხსნა კვარკების შეუთავსებლობის პრობლემა ფერმიონულ სტატისტიკასთან. მათვე დაამუშავეს კვაზიდამოუკიდებელი კვარკების მოდელი, რომლითაც იწინასწარმეტყველეს კვარკების ურთიერთქმედების პარადოქსური თვისება — ჰადრონის შიგნით კვარკები თითქმის თავისუფალი არიან, მაგრამ მათი „გამოყვანა“ იქიდან პრაქტიკულად შეუძლებელია, ანუ კვარკები ჰადრონში არიან „მუდმივ ტყვეობაში“. თუ როგორ დავაკვირდეთ კვარკებს ჰადრონებში — ეს პრინციპული საკითხიც გადაჭრა ა.თავხელიძემ თავის ახალგაზრდა თანამშრომლებთან ერთად (ვ.მატვეევი, რ. მურადიანი), წამოაყენა რა ავტომოდელობის პრინციპი მაღალი ენერგიების ფიზიკაში და განავითარა სხვადასხვა ღრმად-არადრეკადი პროცესების აღწერის ერთიანი მიდგომა. ახალი კვანტური რიცხვის — „ფერის“ შემოტანისთვის კვარკულ მოდელებში და კვარკების დინამიური მოდელების კვლევისთვის ა. თავხელიძეს თანაავტორებთან ერთად 1988 წელს ლენინური პრემია მიენიჭა.

**დიდია ალბერტ თავხელიძის როლი ქართველ ფიზიკოსთა თაობების აღზრდაში. ის ყოველთვის უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა თავის მოწაფეებს, აფასებდა მოწაფის მოწადინებას, მათ მიერ მიღებულ შედეგებს, ხოლო ღირსეული ახალგაზრდის წინსვლას ყველანაირად უწყობდა ხელს. მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდა ფიზიკოსებს ა. თავხელიძის ხელშეწყობით უნიკალური საშუალება ჰქონდათ, ესწავლათ და ემუშავათ საბჭოთა კავშირის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში. დღეს, როცა მისი მოწაფეები თვითონ არიან აღიარებული მეცნიერები და მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწეობენ, კიდევ უფრო თვალნათელია ბატონი ალეკოს დიდი დამსახურება საქართველოში მეცნიერების განვითარების წინაშე.**

შესანიშნავი მკვლევრისა და პედაგოგის, აკადემიკოს ალბერტ (ალეკო) თავხელიძის სახელი მუდამ დარჩება ქართული მეცნიერების ისტორიაში.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება**



# ქართული პოლიტიკის მაგისტრალური მიმართულება

1604 წლის 19 აგვისტოს, მოსკოვიდან წარგზავნილი ელჩები, **მიხეილ ტატიშჩევი** და **ანდრია ივანოვი** მთავარ **გიორგის** შეხვდნენ და მეფის საჩუქრებიც მას გადასცეს, რადგან მთავარი **ალექსანდრე** ამ დროს სპარსეთის შაჰის კარზე იმყოფებოდა. ელჩებმა გიორგისგან შეიტყვეს, რომ საქართველოს საზღვრებს, ერთი მხრივ, სულთან **მაჰმუდის** წინამძღოლობით თურქთა ლაშქარი, ხოლო, მეორე მხრივ, ლეკები უახლოვდებოდნენ. გიორგის თხოვნითა და ელჩების თანხმობით, ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად ასისთავის **მიხეილ სენოვსკის** მეთაურობით ორმოცი რუსი მსროლელი გამოიყო.

7 ოქტომბერს, **გიორგი** თურქებს საზღვრიდან ერთი დღის სავალზე დაუხვდა. პირველივე ზალპის მიცემისთანავე თურქები უკუიქცნენ; გამოდევნებულმა ქართველებმა ბევრი თურქი დაატყვევეს, ხოლო ადრე ტყვედ ჩავარდნილი თანამემამულენი გაათავისუფლეს. ბრძოლაში არც ერთი მსროლელი არ დაჭრილა. ლეკებსაც იგივე ბედი ეწიათ, გაქცეულებმა მთებს შეაფარეს თავი.

1605 წლის 1 იანვარს, მთავარმა **გიორგიმ** რუსი ელჩები მოიწვია და მეფისადმი ერთგულების ფიცი მათ წინაშე დადო, ქვეშევრდომობის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა და ბეჭედიც დაუსვა. მთელი ეს წესი საიდუმლოდ ჩატარდა, რათა შაჰს რაიმე არ შეეტყო; წინააღმდეგ შემთხვევაში, მთავარი **ალექსანდრეს** სიცოცხლეს შესაძლოა, საფრთხე შექმნოდა.

8 იანვარს, ელჩებმა კარისკაც **ივანე მიხეილის ძე ბუტურლინისგან** მიიღეს ცნობა, რომ რუსთა ჯარებმა დაღესტანში გააშენეს ახალი ქალაქი ყიზლარი (Тарки, Терки), დაიპყრეს მრავალი ადგილი, გაანადგურეს ან დაატყვევეს მტრის მრავალი მებრძოლი და ხელთ იგდეს დიდი რაოდენობით ხორბალი, ცხენები და საქონლები. ამ ამბების შეტყობინების შემდეგ, მთავარმა **გიორგიმ** ელჩებს თავისი სურვილი გაუზიარა, რომ მათ მისი სახელით მეფისთვის ეთხოვათ საქართველოში ერთი ან ორი ქალაქის გაშენება, რომელშიც ქვეყნის დასაცავად რუსი სამხედრო პირები დამკვიდრდებოდნენ. გიორგი იმედოვნებდა, რომ საქართველოსთვის მფარველობის აღთქმის მიცემის შემდეგ რუსი მეფენი ქრისტიანული ტაძრების აკლებასა და დანგრევას აღარ დაუშვებდნენ.

ამასობაში შაჰმა მთავარ **ალექსანდრესა** და მის ძეს **კონსტანტინეს**, რომელიც მის კარზე იმყოფებოდა, ნება დართო სამშობლოში დაბრუნებისა, ოღონდ იმ პირობით, რომ კონსტანტინეს ქალაქ შემახაზე (ახლ. აზერბაიჯანში) უნდა გაელაშქრა, რისთვისაც შაჰს მრავალრიცხოვანი ჯარი გასაყოლებლად უკვე მზად ჰყავდა.

8 მარტს, ალექსანდრე და კონსტანტინე საქართველოში დაბრუნდნენ და სპარსეთიდან თან ჩამოიყვანეს ოთხი ხანი, ექვსი სულთანი და დაახლოებით რვა ათასი იანიჩარი. ეს პრივილეგიური ქვეითი ჯარი, რომელიც ძირითადად ბავშვობაში ტყვედ წაყვანილი და გამაჰმადიანებული ქართველებისგან შედგებოდა, სინამდვილეში მარტო შემახას ასაღებად სულაც არ იყო გამიზნული. როგორც რუსი ელჩებისთვის ცნობილი გახდა, სპარსეთის შაჰმა მთავარი **კონსტანტინე** იმ დავალებით გამოუშვა, რომ მთავარი **გიორგი** მოტყუებით შეეპყრო და სპარსეთში გაეგზავნა, ან, გარემოება თუ ხელს არ შეუწყობდა, მოეკვდინა კიდეც. მართლაც, 12 მარტს, კონსტანტინემ მამაც და ძმაც, ალექსანდრე და გიორგი, თავიანთ ერთგულ სამღვდელოებასა და დიდებულებთან ერთად ამოხოცა და თავი საქართველოს მეფედ გამოაცხადა, ხოლო რუს ელჩებს შეუთვალა, რომ მთავარი **გიორგი** მეფისა და შაჰის ღალატის გამო დაისაჯა, მას თურქებისთვის საქართველოს გადაცემა ჰქონდა განზრახული; მთავარმა ალექსანდრემ კი მისი ძის ხვედრი იმიტომ გაიზიარა, რომ ისინი თანამოაზრენი იყვნენო.

21 მარტს, რუს ელჩებთან შეხვედრის დროს მთავარმა კონსტანტინემ მათ შეკითხვებს უპასუხა: **შაჰ-აბასი** კეთილგანწყობილია მე-



თეიმურაზ პირველი



გიორგი III
(იმერეთის მეფე)



ლევან II დადიანი

ფის მიმართ, ხოლო თვით ის შაჰის მხარდაჭერით ხვალ შემახაზე გალაშქრებას აპირებს; რაც შეეხება ალექსანდრესა და გიორგის ხვედრს, ეს ამბავი ელჩებს სულაც არ უნდა აკვირვებდეს, რადგან უწინ თავისი მამა და ძმა თვით ალექსანდრემ მოაკვდინა. კონსტანტინემ ასევე თქვა, რომ შვიდი წლისა იყო, როცა მამამ შაჰს მიაბარა, და იძულებით მაჰმადიანობა მიაღებინეს, მაგრამ ახსოვს ის დრო, როცა ქრისტიანი იყო და წინაპართა მსგავ-



ქეთევან დედოფლის წამება

სად ქრისტიანები ყოველთვის უყვარდა. რუსმა ელჩებმა მომდევნო შეხვედრაზე, 31 მარტს, განუცხადეს **კონსტანტინეს**, რომ თუ სურდა მეფის მფარველობის მიღება, მაშინ ერთგულების ფიცი უნდა დაედო. მაგრამ მან, შაჰის მრისხანების მომიზეზებით, ფიცის დადებაზეც და ქრისტიანული სარწმუნოების მიღებაზეც უარი განაცხადა.

კონსტანტინესთან გამომშვიდობების შემდეგ, რუსი ელჩები ქართლის მთავართან, **გიორგი სიმონის ძესთან** გაეშურნენ. მთავარმა ელჩები 28 აპრილს მიიღო. მეფის წერილის გაცნობისა და ელჩთა მოსმენის შემდეგ გიორგიმ განაცხადა, რომ იგი ფრიად კმაყოფილი იყო მეფის მიერ მფარველობის შემოთავაზებით; ის მთელი თავისი ოჯახით ემორჩილება რუსეთის მეფეს და ბოდიშს იხდის, რომ ამ საკითხზე აქამდე ელჩების გამოგზავნა ვერ შეძლო. მან განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა მეფისადმი მისგან შემოთავაზებული მეგობრობისა და მისი ძის, უფლისწულ **თეოდორე ბორისის ძისთვის** გიორგის ასულის, **ელენეს** ხელის თხოვნის გამო.

5 მაისს, რუს ელჩებს მთავარი გიორგის რწმუნებულმა პირებმა, მთავარეპისკოპოსმა **თეოდოსიმ** და თავადებმა, თხოვეს, რომ ელჩებს მეფის ჯარის გარკვეული ნაწილი საქართველოშიც დაეტოვებინათ, რადგან ჩერქეზეთსა და ქართლს შორის მთაში მცხოვრები ოსები ძლიერ ვნებდნენ ქართველებს; მათი რიცხვი 200 კაცს არ აღემატებოდა, მაგრამ ოსთა თარეშის აღკვეთის გარეშე ქართლისკენ მიმავალ გზაზე საფრთხე ყოველთვის იარსებებდა. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ რუსი ელჩები 150 მსროლელის დატოვებაზე დათანხმდნენ, ოღონდ იმ პირობით, რომ მეფის თანხმობის გარეშე ქართველები სულთანს ომს არ გამოუცხადებდნენ.

10 მაისს გაიმართა ფიცის დადების ცერემონია, რომელზეც ფიცს მეფისადმი ერთგულებისა და მთელი ქართლის საუკუნოდ მფარველობის შესახებ მთავარმა **გიორგიმ** და ელჩებმა მოაწერეს ხელი. მთავარმა ასევე დასძინა, რომ იგი თანახმაა უფლისწულზე მისი ასულის დაქორწინებისა, მაგრამ მას რუსეთში გაამგზავრებს სრულწლოვანების შესრულების შემდეგ, რადგან წმიდა მამებმა ქალის დასაქორწინებელ ასაკად 12 წელიწადი განსაზღვრეს, ხოლო ელენე ჯერ მხოლოდ 9 წლისა იყო.

11 მაისს ქართლიდან გამგზავრებულმა ელჩებმა, გზაში ბევრი უსიამოვნების შემთხვევის შემდეგ, მოსკოვში 18 ნოემბერს ჩააღწიეს და მეფე **ბორის თეოდორის ძეს** მთავარი **გიორგისგან** გამოგზავნილი ბერძნული წერილი ჩააბარეს, რომელშიც აღნიშნული იყო პირობა მეფის მფარველობის მუდმივად მიღებისა და თავისი ასულის უფლისწულზე დაქორწინების შესახებ.

1619 წლის აპრილის თვეში, საქართველოს (კახეთის) მთავრის **თეიმურაზის** მიერ ელჩად წარგზავნილი იღუმენი **ხარიტონი** ერთი წლის მგზავრობის შემდეგ მოსკოვში ჩავიდა და მეფე **მიხეილ თეოდორეს ძეს** წერილი ჩაუტანა; ამასთან, სიტყვიერადაც მოახსენა, რომ ხელმწიფე თეიმურაზს თავისი ბაბუის, **ალექსანდრესა** და მამის, **დავითის** მსგავსად სურს, რუსეთის მეფის მფარველობა თვითონაც მიიღოს და მხოლოდ მას ემსახუროს. თეიმურაზი მეფეს წერდა, რომ ორპირი **შაჰ-აბასი** მისი ორი ძის, **ალექსანდრესა** და **ლევანის**, და მისი დედის, **ქეთევან** დედოფლის სპარსეთში ჩაყვანითაც არ დაკმაყოფილდა და დიდი ჯარით მოულოდნელად საქართველოში შეიჭრა. თეიმურაზმა მხოლოდ მცირე წინააღმდეგობის გაწევა შეძლო და იძულებული გახდა, თავი იმერეთისთვის შეეფარებინა. შაჰმა მისი ქვეყანა ეკლესია-მონასტრებთან ერთად სასტიკად მოაოხრა.

**თეიმურაზი** ევედრებოდა მეფეს, რომ შაჰისთვის წერილი მიეწერა, რათა მას საქართველოს მტრობა შეეწყვიტა და მისი დედა და შვილები უკან დაებრუნებინა, ან მეფისთვის გადაეცა. მთავარი დასძენდა, რომ იმერეთის მთავარი **გიორგი**, ერისთავი **მამია** (Мануило) გურიელი და ერისთავი **ლევან** დადიანიც თხოვენ მეფეს, რომ ისინიც თავის მფარველობაში მიიღოს და საუკუნოდ ქვეშევრდომებად აღიაროს.

1621 წლის 5 მაისს, მეფემ ივერიელი მთავრებისთვის განკუთვნილი სამი წერილი იღუმენ **ხარიტონს** ჩააბარა. იგი წერდა, რომ ითვალისწინებს მათს თხოვნას და საუკუნო მფარველობის პირობას აძლევს. მოსკოვში ივერიელთა ელჩობის დროს იმყოფებოდა სპარსელი ელჩი **ბულატ-ბეგიც**, ამიტომ მეფემ წერილობითაც და სიტყვიერადაც **აბასს** შეუთვალა, რომ ივერიის ყველა ერისთავი მისი მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა და მათი სამფლობელოების მიმართ მტრობა სპარსეთსაც უნდა შეეწყვიტა; ხოლო რაიმე გაუგებრობის შემთხვევაში შაჰი მეფეს უნდა დაკავშირებოდა. იმავდროულად, ყოველი შემთხვევისთვის, მეფემ სპარსეთში თავისი ელჩებიც, **ვასილი კორობინი** და **ევსტათი კუვშინიკოვი** გაგზავნა.

სპარსეთიდან დაბრუნებულმა ელჩებმა **შაჰ-აბასის** პასუხი ჩამოიტანეს. შაჰის სიტყვით, **თეიმურაზმა** დედა და ორი ვაჟიშვილი მას იმ პირობით დაუტოვა, რომ აბასის მტერ სულთანთან თეიმურაზი კავშირს არ დაამყარებდა; მაგრამ მან სიტყვა გატეხა და თურქეთის სულთანს დაემორჩილა. თუმცა აბასი, როგორც თვითონ თქვა, მეფისადმი სიყვარულის გამო (из любвы к Царю), თეიმურაზს დედას, შვილებსა და ყველა მის სამფლობელოს მაინც დაუბრუნებს.

1624 წლის 16 მარტს, მოსკოვში მთავარი **თეიმურაზის** ელჩები, იერუსალიმის წმიდა გოლგოთის მთის მონასტრის მთავარეპისკოპოსი **თეოდოსი** და არქიმანდრიტი **არსენი**, ჩავიდნენ და ბერძნულად ნაწერი წერილები მეფე **მიხეილ თეოდორეს ძისა** და პატრიარქ **ფილარეტ ნიკიტას ძისთვის** ჩაიტანეს. ქართველი მთავარი აცნობებდა მეფეს თავის ქვეყანაში შექმნილი სავალალო მდგომარეობის შესახებ და სპარსელთა წინააღმდეგ ჯარითა და თანხით დახმარებას თხოვდა. სამწუხაროდ, ამჯერად რუსეთმა ქართველთათვის ხელის გამართვა ვერ შეძლო, რადგან **პოლონელთა** და **ლიტველთა** მიერ მიყენებული ზიანის გამო ბევრი დანგრეული ქალაქი ჯერ კიდევ აღსადგენი იყო, ხოლო ხაზინა – შესავსები, ვინაიდან მტრებმა რუსეთიდან მაშინ მნიშვნელოვანი თანხა გაიტაცეს. თუმცა, მეფე იმედოვნებდა, რომ პირველივე შესაძლებლობისთანავე დახმარების საშუალებას გამონახავდა.

1636 წელს, მთავარი **თეიმურაზის** მიერ ახლად დანიშნული ელჩი, ბერძენი არქიმ. **ნიკიფორე** მოსკოვში მეფეს წარუდგა და თავისი ხელმწიფისგან გამოგზავნილი (17.09.-1635) წერილი ჩააბარა, რომელიც ბერძნულ ენაზე იყო შედგენილი. საერთოდ, როგორც თვით წერილის ავტორი აღნიშნავდა, ბერძნულს სიფრთხილის გამო იყენებდნენ, რომ გზაზე საძარცვავად გამოსულ ლეკებს, ჩერქეზებს ან ნოღაიდებს* უფრო ადვილად სათარგმნელი ქართული ტექსტი არ ჩავარდნოდათ ხელში. ამჯერად, თეიმურაზის მთავარი სათხოვარი დაუნდობელ ლეკთა წინააღმდეგ მეფის ჯარის გამოგზავნა იყო, რომელნიც მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ, რომ ივერიას დაუფლებოდნენ. ქართველი მთავარი მზად იყო, რომ მთელი ივერია, ყველა მისი ტაძრითა და წმიდა საგნებით, დღემდე საშინელისა სამსჯავროსა რუსეთის მეფისთვის მფარველობაში გადაეცა.

**ბერდიაკონი გიორგი (რუხაძე).**



(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

* ჩრდილოკავკასიელი ნოღაის ველის თათრები.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №178-179

# შერისხულ ქართველთა სულის ანაბეჭდი



**„ჩაძინებული** ვიყავით, კარზე კაკუნი რომ გაისმა. ეს იყო 25 დეკემბერი, 1951 წელი, ღამის სამი საათი. გავაღეთ კარი, შემოცვივდა სამი კაცი: ჩეკისტები და რამდენიმე სამხედრო. გიორგის მისცვივდნენ ლოგინთან და ხელები გადაუგრიხეს... რუსმა სამხედრომ საათს დახედა, „ერთ საათს გაძლევთ მოსამზადებლად“, გვითხრა, მერე ჩემოდანს მივარდა, სადაც ის ხანჯალი მედო, ჩემმა ძმებმა — ბონდომ და დიმამ შემთხვევით რომ ნახეს საკომისიო მაღაზიაში, ნასესხები ფულით შეიძინეს და მე მომაბარეს. ხანჯალი ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან ბაბუის — გიორგი შარვაშიძის ნაქონი გახლდათ და თავისთავადაც საკმაოდ დიდად ღირებული... ამოიღი ხანჯალი ამ რუსმა და გამოგვიცხადა: „Это нельзя вам брать“... (ბაბო დადიანის ჩანაწერებიდან).**

ახლახან საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკამ გამოსცა **ქეთევან ტომარაძის** მიერ შედგენილი და მომზადებული წიგნი **„რეპრესირებულთა ჩანაწერები“,** რომელიც მან საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლთა ხსოვნას მიუძღვნა.

XX საუკუნის 37-38 წლების რეპრესიები კარგადაა ცნობილი, მაგრამ თვით საქართველოშიაც კი ბევრს არ სმენია 1951 წელს ქართული ოჯახების გადასახლების ისტორია...

ეს განუკითხაობა, რომელიც, როგორც ჩანს, 37-38 წლებგამოვლილ, დაშინებულ და არსებობის სავალალო ზღვრამდე მიყვანილი საზოგადოებისთვის იმდენად შოკის მომგვრელი გამოდგა, ვერავინ კითხვის დასმას ვერ ბედავდა, თუ რატომ, რა მიზეზით განხორციელდა ეს სადამსჯელო ოპერაცია, რომელსაც ვინ მოთვლის, რამდენი სრულიად უდანაშაულო ჩვილი, მოზარდი, ფეხმძიმე ქალი, ხანდაზმული თუ ჯან-ღონით, პატიოსნებითა და ინტელექტით სავსე ადამიანი ემსხვერპლა.

ყოველივე ეს ხდებოდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ყოველი მეოთხე შრომისუნარიანი მამაკაცის დამკარგავი ქვეყანა, სულის მოთქმასა და ადამიანური თუ მატერიალური დანაკარგებით მიყენებული ძალების აღდგენას რომ ცდილობდა.

**ბაბო დადიანის, ნიკოლოზ (კოკოშა) ჩხატარაიშვილის, ქეთევან (ჩიტო) კალანდაძის, ბარამ ბარამიძის, გულნაზ (გუქა) გორგილაძის, ვანო ვარაზაშვილისა და დათო თაყაიშვილის ჩანაწერები შემზარავ შტრიხებს აცოცხლებენ იმ პერიპეტიებისა, რომლებიც მეორედ გადასახლებისას იწვნიეს ადამიანებმა.**

მეორედ გადასახლება შემთხვევით როდია ნახსენები. რეპრესირებულ ადამიანთა უმრავლესობას გაუსაძლისი უბედურების ხელახლა გადატანა მოუხდა, მეორე მსოფლიო ომის პერიოდის ტყვეობა, კეთილშობილური წარმომავლობა, ტალანტი თუ საზღვარგარეთ გახიზნულთა ახლობლობა, მათ ნამდვილ რისხვად მოევლინათ.

გადასახლებულთა ისტორიები ძალიან ჰგავს ერთიმეორეს. შეშფოთებული მოქალაქეების შეკითხვაზე, — რა ხდება და რისთვის ისჯებიან, ჯალათებს მუდამ ერთი და იგივე აგდებული პასუხი ჰქონდათ: **„გადასახლებას ექვემდებარებით, დანარჩენს ადგილზე რომ ჩახვალთ, იქ გეტყვიან!“** და თუ სისხლიან ოცდაათიან წლებში ფორმალურად მაინც ტარდებოდა სასამართლოები, **„ხალხის მტრად“** შერაცხილებს მეზობლების ან ცრუ მოწმეთა თანდასწრებით შეთითხნილ განაჩენს აცნობდნენ, ამჯერად ამ ხალხს, სიჩქარის გამო, საქმის არსში გარკვევის ღირსადაც არ თვლიდნენ.

...ქალბატონმა ბაბომ და მისმა ვაჟმა იმ მცირე დროში პირად ნივთებს ასე თუ ისე თავი რომ მოუყარეს, **„ღამის სტუმრებმა“** ეს ყველაფერი იატაკზე გაფენილ ფარდაგში გაახვიეს, ქალბატონი ბაბოს მუდარა, ჩემს ქალიშვილს ფილტვების ანთება აქვს და დატოვეთო, ყურად არ იღეს, კიბეზე ჩაიყვანეს, ქუჩაში მომლოდინე სატვირთო მანქანის ძარაზე არეკეს და რკინიგზის სადგურისკენ დაიძრნენ.

გზად გაირკვა, ამ ღღეში ბაბო დადიანის ოჯახი ერთადერთი როდი ყოფილა. სხვადასხვა ქუჩებიდან და უბნებიდან მათ კვალზე ჩნდებოდნენ ხალხით დატვირთული საბარგო მანქანები, საიდანაც ბავშვების ტირილი, მოხუცთა კვნესა-გოდება, დედების მოთქმა და კივილი გაისმოდა. საბოლოოდ, ამ კოლონებმა ნავთლუღის სადგურზე მოიყარა თავი, სადაც ნამდვილი ჯოჯოხეთი ტრიალებდა — აქ თავშეყრილ ადამიანებს საქონლის გადასაზიდ, ბინძურ ვაგონებში ერეკებოდნენ.

ეს უფანჯრებო, ბნელი ვაგონებისგან შემდგარი, მე-8 პოლკის ჯარისკაცებით ალყაშემორტყმული ეშელონი სხვადასხვა ასაკის ადამიანებით, მათ შორის, საკაცით მიყვანილი დავრდომილებით იყო გადატვირთული და მთელი დღე ნავთლუღის სადგურის ჩიხში იდგა. ზემოთ, კახეთის გზატკეცილზე აუარებელი ხალხი ირეოდა. გაჰყვიროდნენ ახლობელთა სახელებს, ტიროდნენ, კიოდნენ. ჩანს, ჯარისკაცებს შეეცოდათ ეშელონში მყოფნი და თავისიანების მოსაძებნად მისულთ ეხმარებოდნენ, ურჩევდნენ, გაარღვიეთ წრე, — მიდით, რამე თუ გაქვთ, გადაეცითო...

შობის დღე ამ ადამიანებმა გლოვასა და ვაი-ვიშში გაატარეს. სამოცვაგონიანი ეშელონი საღამოს ცხრა საათზე დაიძრა. კახეთის გზატკეცილზე მყოფი ხალხი გამოეკიდა ნელი სვლით მავალ შემადგენლობას, სარკმლებში აგდებდნენ თბილ ტანსაცმელს, ფულს, საკვებ პროდუქტებს, ტირილით ემშვიდობებოდნენ, ამხნევებდნენ ძვირფას ადამიანებს. ამ შემზარავი სურათის ფონზე, ყველაზე ცინიკური გახლდათ ვაგონებზე გაკრული წითელი პლაკატები წარწერით: „ДОБРОВОЛЬНО!“



**1952 წლის ივნისი, სამხრეთ ყაზახეთი, მე-8 კლასი, ზემოდან მარცხნივ: გივი გორგილაძე, ბარამ ბარამიძე, ნოშრევან ოზოლგოგია, თენგიზ ყანჩელი, ტარიელ ძნელაძე, ვანო ვარაზაშვილი, არჩილ ჯანდიერი, ავთანდილ ჯავახიშვილი. ცენტრში, ტყავის ქუდით, სკოლის დირექტორი ესამბაევი**

შემზარავი იყო სიცივითა და შიმშილით დაუძლურებული, რძეგამშრალი დედების ხელში გარდაცვლილი ჩვილების, ავადმყოფი მოზარდებისა და დავრდომილი მოხუცების ნეშტთა გზადაგზა, რკინიგზის პირას ნაჩქარევად ჩაფვლა და თოთხმეტდღიან გაუსაძლის პირობებში მგზავრობა, რომლის დასასრულსაც სასოებით ელოდნენ ცის ხილვას დანატრებული შერისხული მგზავრები, მაგრამ რეალობა ყოველგვარ მოსალოდნელზე მძიმე გამოდგა, საქონლის ვაგონებიდან ჩამოქვეითებულთა წინაშე, ყიზილყუმის მინუს ორმოცი გრადუსით გათოშილი უდაბნოს უკიდეგანო ტრამალი რომ გადაიშალა.

მათ მუდმივად ერთი კითხვა აწვალებდათ, — ვინ მოიფიქრა სამოთხისდარი სამშობლოდან ამ ღვთისგან ხელნაკრავ, სიცოცხლის ნიშატისგან დაცლილ, ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში მათი გადასახლება. მით უფრო სავალალო იყო, რომ 1951 წელს საბჭოეთის არც ერთი რესპუბლიკის მკვიდრს არ რგებია ქართველთა ხვედრი.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს დამსჯელი ოპერაცია, მთელი საქართველოს მასშტაბით, საგანგებოდ ღამის საათებში განხორციელდა, რათა მოსახლეობის ფართო ფენებისთვის საიდუმლოდ დარჩენილიყო.

წიგნში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თვალსაჩინო ენერგეტიკოსის **ნიკოლოზ (კოკოშა) ჩხატარაიძის „ერთი კაცის ნაამბობი“**. ეს უნიჭიერესი, ენერგიითა და პატიოსნებით აღსავსე პიროვნება, თავისი ოჯახის ყაზახეთში გადასახლების ღამეს ერევანში იმყოფებოდა საკავშირო კონფერენციაზე.

ქართველთა მორიგი დასჯა ვიღაც ბოროტებით ატანილი უზურპატორის სურვილით რომ განხორციელდა, და ეს ღირსებით სავსე, ულამაზესი, თითქოს საგანგებოდ შერჩეული, ქართული ჯიშ-ჯილაგის ნიშნით აღბეჭდილი, თავიანთ პროფესიას გადაგებული, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული მეცნიერები, კულტურისა და საზოგადო მოღვაწენი (თვით ექვთიმე თაყაიშვილისთვის გადასახლების არიდება უდიდეს ძალისხევად დასჯდომია კანდიდ ჩარკვიანს), მედიკოსები, პედაგოგები, მშენებლები, რიგითი მშრომელი ადამიანები საბჭოთა რეჟიმს ჩირის ფასად რომ არ უღირდა და მათი სტატისტიკურ ერთეულად აღრიცხვაც კი არ მიაჩნდა სავალდებულოდ, ამ პიროვნების ჩანაწერებში ჰპოვა ასახვა და მკითხველს მაღალი ინტელექტისა და ნიჭიერების ნიმუშად ევლინიება. იგი გასაოცარი განცდით, მწერალ-დოკუმენტალისტის ალღოთი აღწერს, ცოლ-შვილის კვალზე, სატვირთო მატარებლით ჯოჯოხეთური თოთხმეტდღიანი მგზავრობის ყოველ დეტალს, ყიზილყუმში ჩაღწევის შემდეგ ოჯახის ძებნას საბჭოთა კოლმეურნეობაში, რომელიც მხოლოდ მებამბეობას მისდევდა, რადგან სხვა მცენარე იქ ვერ ხარობდა; ზაფხულობით ღია სივრცეში მზის მცხუნვარება — 70-72, ხოლო ჩრდილში 40-42 გრადუსს აღწევდა და ამ გაუსაძლის პირობებში, სადაც სასმელი წყალი სანატრელი იყო და ყავისფერ უდაბნოს ქვიშა-ქვით გაჯერებულ ნიადაგზე, აქლემების ნაფეხურებში დაგროვილი წყლის დალევა გადადუღებისა და სუფთა ზეწრებში გაწურვის შემდეგღა იყო მხოლოდ შესაძლებელი, ხოლო ბამბის კრეფის ყოველდღიური ნორმის შესრულება არაადამიანურ ძალისხმევას მოითხოვდა.

ერთ ბეწო, ალიზის მიწურ, სტანდარტულ ქოხებში თავშეფარებულმა ქართველებმა თავდაუზოგავი შრომით, ამ ბერწ, უნაყოფო ყიზილყუმის უდაბნოში სასწაული მოახდინეს: მათი მესვეურობით აიგო ახალი საცხოვრებელი სახლები, პოლიკლინიკა, კინოთეატრი, მცირე ელექტროსადგური, სხვადასხვა დანიშნულების შენობები და იქ ცხოვრება, ასე თუ ისე, ასატანი გახადეს.

ნიკოლოზ ჩხატარაიშვილის ჩანაწერებში ჩვენ თვალწინ გაიელვებენ ნერგაძეების, სანდრო ახმეტელთან ერთად რეპრესირებული ელგუჯა ლორთქიფანიძის მეუღლის, ექიმ მარგო მუჯირისა და მისი შვილის, ჯანიკოს, კახელი გლეხის დათა კახელაძის, არქიტექტორი ქალის თინა ქარუმიძის, სახელმოხვეჭილ ექიმ-ლარინგოლოგ თევზაძის, რომელიც იმის გამო გადაუსახლებიათ, რომ მისი ცოლისძმა, გვარად დადეშქელიანი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში დარჩენილა, ანჯაფარიძეების, ექიმ გედეონ ასათიანისა და მისი მეუღლის, ქეთო ბოკერიას ოჯახის ტრაგიკული ისტორია, 1924-43 წლებში გადასახლებული ჩრდილოეთ კავკასიელებისა და ბერძნების ამბავი, თავად სიღატაკეში მყოფებმა მრავალი ქართველი რომ შეიფარეს და ლუკმა გაუყვეს, ლენინის ორდენოსანი(!) ხანდაზმული პედაგოგის, ეკატერინე გაბაშვილის კეთილად აღნაგი და ღირსებით სავსე შვილიშვილის — გურამ გაბაშვილის, კოლია ჯანდიერის, ყოფილი ემიგრანტის, შაქრო რომანიშვილის, ევგენი მიქელაძის დის სახეები, რომლებმაც იმ არაადამიანურ პირობებში თავისთავადობა შეინარჩუნეს და სხვებისთვის სანიმუშო მაგალითად იქცნენ.

საერთოდ, ძნელია, რამე ლოგიკური ახსნა მოუძებნო ქართველების ამ მასობრივ გადასახლებას. მაგალითად, ძმები ხვედელიძეების ორი შესანიშნავი ოჯახი მხოლოდ იმის გამო დასაჯეს, რომ მათი ბებია ნოე რამიშვილის და გახლდათ. ზემო სურებიდან წამოყვანილი ეს 92 წლის მანდილოსანი შვილიშვილების ეშელონს ჩამორჩა და რუსულის არმცოდნე, შუა აზიის რომელიღაც უპოვართა თავშესაფარში მუნჯად აღესრულა.

სხვადასხვა მონაცემებით, 1951 წლის შობის კვირას, ქართველ გადასახლებულთა რიცხვი 15 ათასიდან 50 ათასამდე მერყეობდა. დაზუსტებული მონაცემები უცნობია, რადგან არავის მისცეს გადამოწმების ან გასაჩივრების უფლება.

გადასახლებულებმა თოთხმეტი დღეღამის შემდეგ ყიზილყუმის უდაბნომდე რომ ჩააღწიეს, იქიდან კი მივარდნილსა და ღვთისგან მივიწყებულ, ე.წ. საბჭოთა მეურნეობებში სანამ გაამწესებდნენ, უბრძანეს, სამუდამო პატიმრობაზე დათანხმებოდნენ. ისინი ამ მოთხოვნას აღშფოთებით შეხვდნენ და წინააღმდეგობის გაწევაც სცადეს, მაგრამ ვიღაცის რჩევითა და ნიკოლოზ ჩხატარაიშვილის მეცადინეობით, მათ მიერ წარმოდგენილ საბუთზე ყველამ იმ იმედით მოაწერა ხელი, იქნებ დრო შეიცვალოს და ჩვენი ბედი წაღმა შეტრიალდესო. წინააღდეგ შემთხვევაში, ურჩებს უარეს პირობებში უპირებდნენ გადახვეწას.

უდაბნოს მკაცრ ბუნებას განსაკუთრებით ვერ უძლებდნენ ზღვისპირეთის მკვიდრნი. მაგალითად, აჭარიდან გადასახლებულთა მთელი ეშელონი დაღუპულა აუტანელი კლიმატური და საცხოვრებელი პირობების გამო...

ქალბატონმა ქეთევან ტომარაძემ, ამ ჩანაწერების გამოქვეყნებით, ქართველთა მასობრივი რეპრესიების მსხვერპლთა მიჩუმათებული, ერთ-ერთი ბნელით მოცული ისტორიის ჯეროვნად გაცოცხლებას შეუწყო ხელი. მან ამ ტექსტებს ავტორებისეული ლექსიკა და სულიერი განწყობა შეუნარჩუნა, რაც ამ ჩანაწერების ბუნებრიობასა და დამაჯერებლობას, აღწერილი ამბების მიმართ მკითხველის თანალმობის განცდასა და ინტერესს საგრძნობლად აძლიერებს.



**ზურაბ თორია**

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი მარუაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი მარუაშვილი (პ/ნ 01030014165), თბილისი, უზნაძის ქ. №79-81, ბინა №41

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** თბილისი, უზნაძის ქ. №79-81, ბინა №41 (საკადასტრო კოდი: 01.13.08.007.010.01.041https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 21999.10 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 15 დეკემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 29 დეკემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP68890820;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 688908

6. **მოვალე:** გიორგი მარუაშვილი (პ/ნ 01030014165), თბილისი, უზნაძის ქ. №79-81, ბინა №41
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP68890820; ლოტის ნომერი: 688908).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 29 დეკემბრის 10:00 საათამდე.

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ბაჩუკი ცირდავას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ბაჩუკი ცირდავა (პ/ნ 19001043671), ზუგდიდი, ი. მოსაშვილის II შესახვევი №32

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ზუგდიდი, ი. მოსაშვილის II შესახვევი №32 (საკადასტრო კოდი: 43.31.46.094https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 15592.36 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 15 დეკემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 29 დეკემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP68891220;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 688912

6. **მოვალე:** ბაჩუკი ცირდავა (პ/ნ 19001043671), ზუგდიდი, ი. მოსაშვილის II შესახვევი №32
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP68891220; ლოტის ნომერი: 688912).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 29 დეკემბრის 10:00 საათამდე.

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შამისტან მახმად ოღლის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შამისტან მახმად ოღლი (პ/ნ 36001024920), საგარეჯო, ს. თულარი, მე-7 ქ. №2

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** საგარეჯო, ს. თულარი (საკადასტრო კოდი: 55.03.54.068https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 5395.12 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 15 დეკემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 29 დეკემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP68891420;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 688914

6. **მოვალე:** მეჰმან დუნიამალიევი (პ/ნ 36001003059), საგარეჯო, ს. თულარი, მე-7 ქ. №2
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP68891420; ლოტის ნომერი: 688914).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 29 დეკემბრის 10:00 საათამდე.

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
# არბიტრაჟის სახელით

## საჯარო შეტყობინების შესახებ

**საქმე №01-30/2020**

ქ. თბილისი 9 დეკემბერი, 2020 წელი

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარემ მამუკა ღვინიაშვილმა, ერთპიროვნულად, მხარეთა მონაწილეობის გარეშე განვიხილე საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების საკითხი.

**გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :**

საქართველოს საარბიტრაჟო პალატას საარბიტრაჟო სარჩელით მომართა ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ შპს „აქსისის“, ი.მ.ა „აქსისი პალასი-2“-ის, მაია დილევსკაიას, გედეონ სამარგულიანის, ლანა გიგაურის, გურამ ჭოხონელიძეს, ნინო გურგენიძეს, ეკატერინე სადრაძეს, ვასილ ებრალიძეს, მარინე ჩიტიაშვილის, სტეფანე განჯელაშვილის, ევგენია მალინოვას და ელენა სულაძეს მიმართ, თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ.

2020 წლის 21 სექტემბერს ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ დაზუსტებული სარჩელით მომართა არბიტრაჟს შპს „აქსისის“, ი.მ.ა „აქსისი პალასი-2“-ის, მაია დილევსკაიას, გედეონ სამარგულიანის, ლანა გიგაურის, გურამ ჭოხონელიძეს, ნინო გურგენიძეს, ეკატერინე სადრაძეს, ვასილ ებრალიძეს, მარინე ჩიტიაშვილის, სტეფანე განჯელაშვილის, ირაკლი დავითაიას და ივანე ციმაკურიძის მიმართ, თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ.

არბიტრაჟის უწყება საქმის განსახილველად დანიშვნის შესახებ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად, არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართებზე გაეგზავნათ მოპასუხეებს. ჩაბარების არაერთი მცდელობის მიუხედავად გედეონ სამარგულიანს, ირაკლი დავითაიას და ივანე ციმაკურიძეს არბიტრაჟის უწყება ვერ ჩაბარდათ.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-17 მუხლის თანახმად თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის არბიტრაჟის შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება და არბიტრაჟის მიერ ამ დებულების მე-16 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, არბიტრაჟს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არბიტრაჟის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

არბიტრაჟს მიიჩნია, რომ ვინაიდან გედეონ სამარგულიანს, ირაკლი დავითაიას და ივანე ციმაკურიძეს სარჩელში მითითებულ მისამართებზე გაგზავნილი უწყება ვერ ბარდებათ და ამასთან მათი სხვა ადგილსამყოფელის შესახებ არბიტრაჟისათვის უცნობია, საქმის განსახილ-

# საფრთხე!!!




**„რუსეთი მთავარი საფრთხე აღარ არის, მისი ადგილი ჩინეთმა დაიკავა“, — ნათქვამია ნატოს ათწლეულის ანგარიშში.**

**ამავე დოკუმენტის თანახმად, რუსეთი დაღმასვლაზეა, მაგრამ ჯერ კიდევ საშიში ძალაა და ნატოს ბლოკმა ერთსულოვნად, მოსკოვთან თანამშრომლობის გარეშე, წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს მას. კერძოდ, ეკონომიკური და სოციალური სტანდარტების მიხედვით, რუსეთი ჩამქრალი ძალაა, მაგრამ მან აჩვენა, რომ ტერიტორიული აგრესია შეუძლია და მომდევნო ათწლეულში ნატოს მთავარ საფრთხედ დარჩება. ამიტომაც აუცილებელია ნატოს შესაძლებლობის განმტკიცება, რაც თანამშრომლობის გაფართოებას გულისხმობს უკრაინასა და საქართველოსთან.**

**— რომელი უფრო საშიშია — რუსეთი თუ ჩინეთი?**

პოლიტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი** ნატოს ათწლეულის ანგარიშს ეხმაურება და for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ამ ანგარიშის მიღმა რუსეთთან ურთიერთობის დალაგების დიპლომატიური მცდელობა იკითხება. ეს არ ნიშნავს ჩინეთის უფრო დიდ მონსტრად წარმოსახვას. ჩინეთი როგორც იყო წარმოდგენილი საფრთხის მომცველ სახელმწიფოდ, ისევე დარჩა.

**„უბრალოდ, გულდასაწყვეტია, რომ რუსეთი ამოაგდეს საფრთხის მომცველ სახელმწიფოთა ჩამონათვალიდან, რაშიც მე არ ვეთანხმები. თუმცა მათი მესმის, მათ ურჩევნიათ რუსეთთან არა კონფრონტაცია და დაპირისპირება, არამედ დიალოგი. მათ უნდათ, რუსეთს უთხრან, ხომ ხედავ, ამოგაგდეთ საფრთხის მომცველ სახელმწიფოთა სიიდან, კეთილი ინებე, გაანძრიე ხელი და გახდი უკეთესი, ანუ ეს არის გარკვეული დიპლომატიური რევერანსი, თორემ რა პრობლემაა, ხელახლა ჩასვამენ რუსეთს საფრთხის მომცველ სახელმწიფოთა შორის. ჩინეთი აქ არაფერ შუაში არ არის, ჩინეთი დარჩა იქ, სადაც არის, რუსეთი გააქრეს ამ ჩამონათვალიდან და უფრო „მეგობარ სახელმწიფოდ“ აქციეს. დაახლოებით ასეთი მცდელობაა ნატოსგან, მაგრამ ეჭვი მეპარება, რუსეთი გონს მოეგოს“,** — აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი.

ამავდროულად, კონფლიქტოლოგი ფიქრობს, რომ ნატოს გადაწყვეტილება მაინც უფრო ახლოსაა რეალობასთან, რადგან რუსეთი რომ დატოვონ, როგორც აგრესიული სახელმწიფო, ის უფრო აგრესიული გახდება, ვიდრე ჩინეთი. ამიტომ, თუ ამ ჩამონათვალიდან რუსეთს ამოაგდებენ, შანსები იზრდება, იქნებ, გამოსწორდეს ეს სახელმწიფო.

ანალიტიკოს **დავით ზარდიაშვილის** აზრით, ნატოს ასეთი დამოკიდებულება გასაგებია, რადგან ჩინეთს უფრო მეტი რესურსი აქვს, ნატოსთან კონკურენციაში შევიდეს, ვიდრე რუსეთს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ნატო უარს ამბობს იმ საფრთხეებზე, რაც კონკრეტულად ემუქრება საქართველოსა და უკრაინას რუსეთის მხრიდან. ეს ხაზგასმულია, როცა ნატოს მხრიდან თანამშრომლობის გაფართოებაზეა საუბარი.

**„ჩინეთი უფრო მნიშვნელოვანი გამოწვევაა დღეს, ვიდრე რუსეთი. ჩინეთი სამომავლო საფრთხეა, რადგან ეს არის აბსოლუტურად სხვა არჩევანი, ჩინეთი არ არის დემოკრატია, ის არის განვითარების ალტერნატიული გზა, ჩინეთი კომუნისტურია, იქ ისევ ერთი პარტიაა, არ არის პოლიტიკური პლურალიზმი, არ დაიშვება დემოკრატიული არჩევნები, მაგრამ დღევანდელ დასავლეთთან კონკურენციაში ვერ ვიტყოდი, რომ ჩინეთი ჩამორჩება, პირიქით, ეს არის ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, რომელმაც მოახერხა პანდემიის მართვაც და თავისი ეკონომიკაც გაზარდა. ასეთი ქვეყანა დედამიწაზე არც არსებობს, ასეთი მხოლოდ ჩინეთია. ბუნებრივია, დასავლეთს თავისი ცხოვრების წესი აქვს და ამ დასავლეთში შევდივართ ჩვენც, დასავლეთი ჩვენთვის ღირებულებითი არჩევანია, არა მარტო იმიტომ, რომ უკეთესად ვიცხოვროთ, არამედ ღირებულებითადაც ჩვენ დემოკრატიის მხარეს ვართ — ადამიანის უფლებები, თავისუფალი არჩევანი. დღეს ჩვენთვის რუსეთია მთავარი საფრთხე, რაც დასავლეთისთვის — ჩინეთი. თუმცა ამ ეტაპზე ჩვენთვის ჩინეთი არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს. ზოგად კონტექსტში, კი ბატონო, მაგრამ ახლა საქართველოსა და უკრაინის საწინააღმდეგოდ რუსეთია ჩასაფრებული“,** — აღნიშნა დავით ზარდიაშვილმა ჩვენთან საუბრისას.

**მანანა ნოზაძე**

# ამერიკამ თურქეთს სანქციები დაუწესა

**რუსული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი C-400-ის შეძენის გამო, აშშ-მა თურქეთს სანქციები დაუწესა.**

„სანქციების მეშვეობით ამერიკის მოწინააღმდეგეებისთვის წინააღმდეგობის გაწევის“ კანონის ფარგლებში აშშ-მა სანქციები დაუწესა თურქეთის თავდაცვითი მრეწველობის სამმართველოს, მის ხელმძღვანელს, ისმაილ დემირსა და თურქეთის კიდევ სამ მოქალაქეს.

**„ჩვენი გაფრთხილების მიუხედავად, თურქეთმა რუსეთისგან C-400-ის სისტემა შეიძინა. თურქეთის თავდაცვითი მრეწველობის სამმართველოსთვის დაწესებული დღევანდელი სანქციები ცხადყოფს, რომ აშშ სრულად განახორციელებს „სანქციების მეშვეობით ამერიკის მოწინააღმდეგეებისთვის წინააღმდეგობის გაწევის“ კანონს. არ მოვითმენთ რუსეთის თავდაცვის სექტორთან მნიშვნელოვანი გარიგებების დადებას“,** — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ.



**„თურქეთი ნატოს წევრი სახელმწიფოა. ამერიკაც ნატოს წევრი სახელმწიფოა. თურქეთი ალიანსის წამყვანი ქვეყნების ხუთეულში შედის. თუ ადრე ტრამპი ან ობამა ამბობდნენ, რონ ნატოში ისეთი ქვეყანაა, როგორიც თურქეთია, ახლა აშშ სანქციებზე საუბრობს. ეს ნატოს ფარგლებში პარტნიორის უპატივცემულობაა. მე ამას ასე ვხედავ“,** — აღნიშნა თურქეთის პრეზიდენტმა.

# ამომრჩეველთა კოლეგიამ ჯო ბაიდენის გამარჯვება დაამტკიცა

**3 ნოემბერს გამართული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად, „დემოკრატების“ პრეზიდენტობის კანდიდატმა, ჯო ბაიდენმა ამომრჩეველთა კოლეგიის წევრთა 306 ხმა მიიღო, ხოლო მოქმედმა პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა - 232 ხმა.**

ამომრჩეველთა კოლეგიის მიერ მიცემული ხმები გადაეგზავნა კონგრესს, სადაც 6 იანვარს ხმები ოფიციალურად დაითვლება. ამომრჩეველთა კოლეგიის მიერ არჩევნების შედეგების დამტკიცების შემდეგ აშშ-ის არჩეულმა პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ ამერიკაში დემოკრატიამ გაიმარჯვა და ამერიკელებს ერთიანობისკენ მოუწოდა.

**„ამერიკის სულისთვის ამ ბრძოლაში დემოკრატიამ გაიმარჯვა. ჩვენ, ხალხმა, ხმა მივეცით. ჩვენი ინსტიტუტებისადმი რწმენა შენარჩუნდა. ჩვენი არჩევნების პატიოსნება ხელშეუხებელი დარჩა. ახლა დროა ეს ფურცელი გადავშალოთ და გაერთიანება დავიწყოთ“,** — განაცხადა ჯო ბაიდენმა.

რამდენიმე გადამწყვეტ შტატში დონალდ ტრამპის გუნდი სამართლებრივ დავებს აწარმოებს არჩევნებში დაფიქსირებულ დარღვევებთან დაკავშირებით. აშშ-ის პრეზიდენტი, დონალდ ტრამპი არჩევნებში დამარცხებას არ აღიარებს და აცხადებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნები გაყალბდა.



# პუტინმა ბაიდენს გამარჯვება მიულოცა

**რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა ჯო ბაიდენს აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა.**

რუსეთის პრეზიდენტმა აშშ-ის არჩეულ პრეზიდენტს წარმატებები უსურვა და განაცხადა, რომ „უთანხმოებების მიუხედავად, რუსეთი და აშშ შეძლებენ ხელი შეუწყონ უამრავი გამოწვევისა და პრობლემის გადაჭრას“.

**„მზად ვარ თქვენთან ურთიერთობისა და კონტაქტებისთვის“,** — ნათქვამია რუსეთის პრეზიდენტის მისალოც წერილში.

# აზერბაიჯანმა და სომხეთმა ტყვეები გაცვალეს

**ამის შესახებ ბრიფინგზე მთიან ყარაბაღში რუსული მხარის წარმომადგენელმა, გენერალ-ლეიტენანტმა რუსტამ მურადოვმა განაცხადა.**

მურადოვის თქმით, ტყვეების გაცვლა რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერების 9 ნოემბრის განცხადების შესაბამისად განხორციელდა პრინციპით „ყველა ყველაზე“. კერძოდ, აზერბაიჯანულ მხარეს გადაეცა 12 ადამიანი, ხოლო სომხურ მხარეს — 44.

სომხეთის ვიცე-პრემიერმა ტიგრან ავინიანმა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ დაადასტურა, რომ სომხეთში რუსული მხარის შუამავლობით დააბრუნეს 44 მოქალაქე. ავინიანის თქმით, დაბრუნდნენ ის ტყვეები, რომელთა ტყვედ აყვანა დადასტურებულია აზერბაიჯანისა და „წითელი ჯვრის“ მიერ. როგორც ავინიანმა აღნიშნა, დანარჩენი ტყვეების გამოვლენისა და დაბრუნების პროცესი გრძელდება. აზერბაიჯანის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ცნობით, ბაქოში თვითმფრინავით დაბრუნებულ ტყვეებს შორის 2014 წლის ივლისიდან ტყვეობაში მყოფი შაჰბაზ გულიევი და დილგამ ასკეროვიც არიან.



ველად დანიშვნის შესახებ უნდა ეცნობოთ საჯარო შეტყობინებით.

**ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო   ნ ა წ ი ლ ი :**

ვიხელმძღვანელე საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-17 მუხლებით და

**დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :**

1. მოპასუხე გედეონ სამარგულიანს, ირაკლი დავითაიას და ივანე ციმაკურიძეს საქართველოს საარბიტრაჟო პალატა წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს, რომ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საარბიტრაჟო სარჩელის განხილვა შპს „აქსისის“, ი.მ.ა „აქსისი პალასი-2“-ის და სხვათა მიმართ, თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ, დანიშნულია 2021 წლის 18 იანვარს, 16:40 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟიული შარტავას ქ. 40, სართული 11.

2. გედეონ სამარგულიანს, ირაკლი დავითაიას და ივანე ციმაკურიძეს განემარტოთ, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

3. გედეონ სამარგულიანს, ირაკლი დავითაიას და ივანე ციმაკურიძეს ეცნობოთ, რომ საქმეს განიხილავს საარბიტრაჟო კოლეგია მამუკა ღვინიაშვილის, თეა ხამხაძის და ლაშა კალანდაძის შემადგენლობით. მათვე განემარტოთ, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-4 მუხლის თანახმად უფლება აქვთ გზავნილის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წერილობით მომართონ არბიტრაჟს საარბიტრაჟო კოლეგიის (kolegiis რომელიმე წევრის) აცილების შესახებ, სადაც უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები.

4. გედეონ სამარგულიანს, ირაკლი დავითაიას და ივანე ციმაკურიძეს განემარტოთ, რომ უწყება საქმის განხილვის შესახებ მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

5. წინამდებარე დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“.

რაგბი

# სავარაუდო მეტოქეები

**რაგბის მსოფლიოს თასი 2023 საფრანგეთში გაიმართება. ამ ქვეყნის დედაქალაქში მომავალი ფორუმის წილისყრა მოეწყო, რომელმაც გუნდები ოთხ ჯგუფში გაანაწილა.**

ვიდრე ჯგუფების შემადგენლობას გადახედავდეთ, მოგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები მსოფლიოს თასზე ჯერ ოფიციალურად არ არის გასული და მის საგზურს „ბორჯღალოსნები“ მას შემდეგ მიიღებენ, რაც 2021-22 წლების ერთა ლიგაზე წარმატებით იასპარეზებენ. ერთა ლიგის მონაწილეთათვის მსოფლიოს თასზე ორი ადგილია გამოყოფილი. წილისყრამ გაარკვია, რომელ ჯგუფში მოხვდება ერთა ლიგის გამარჯვებული და რომელში – მეორეადგილოსანი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო წლებში ჩვენებურები ერთა ლიგაზე პირველობას არავის უთმობენ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი C ჯგუფში მოხვდებიან.

საინტერესო დამთხვევაა – C-ში სწორედ ის სამი გუნდი მოხვდა, რომლებთანაც 2019 წლის მსოფლიოს თასზე საქართველომ ითამაშა – უელსი, ავსტრალია და ფიჯი.




### A ჯგუფი

ახალი ზელანდია, საფრანგეთი, იტალია, ამერიკა 1, აფრიკა 1.

### B ჯგუფი

სამხრეთ აფრიკა, ირლანდია, შოტლანდია, აზია/ოკეანეთი 1, ევროპა 2.

### C ჯგუფი

უელსი, ავსტრალია, ფიჯი, ევროპა 1, საკვალიფიკაციოს გამარჯვებული.

### D ჯგუფი

ინგლისი, იაპონია, არგენტინა, ოკეანეთი 1, ამერიკა 2.

**კობა კობახიძე**

ჩოგბურთი

# არაბული ტრიუმფი



**ქართველმა ჩოგბურთელმა ეკატერინე გორგოძემ წარმატებით იასპარეზა დუბაის (არაბთა გაერთიანებული საამიროები) 100.000-იან ტურნირში. ჩვენებურმა 27 წლის ინდოელ ანტიკა რაინასთან ერთად წყვილთა შეჯიბრება მოიგო. ქართულ-ინდურმა დუეტმა სტარტზე რეკა-ლუკა იანისა (უნგრეთი) და ალექსანდრა კრუნჩის (სერბეთი) ტანდემი დაამარცხა – 7:6, 6:3, შემდეგ კირსტენ ფლიპკენსსა (ბელგია) და ანდრეა კლეპაჩს (სლოვენია) სძლია – 7:6, 6:1, ნახევარფინალში ანა ბლინკოვა (რუსეთი) და ჰეტა უოთსონი (დიდი ბრიტანეთი) გაისტუმრა მაყურებლებში – 6:7, 6:3, 10:2, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში კი ალიონა ბოლშოვა – ზადოინოვასა (ესპანეთი) და კაია ჟუვანის (სლოვენია) წყვილს საათსა და 20 წუთში 6:4, 3:6, 10:6 მოუგო და მთავარი პრიზი მოიპოვა.**

გორგოძემ ერთეულებშიც მოსინჯა ძალები. საკვალიფიკაციო ეტაპის სტარტზე მან ეგვიპტელი სანდრა სამირი ჩამოიშორა გზიდან – 6:3, 6:2, შემდეგ შვეიცარიელ ვიქტორია გოლუბიჩს მოუგო – 6:4, 3:6, 10:7, მაგრამ მთავარი ბადის პირველ წრეში სლოვაკ ანა კაროლინა შმიედლოვასთან თითქმის სამსაათიან პაექრობაში 6:4, 2:6, 3:6 დამარცხდა და ერთეულთა შეჯიბრებას გამოეთიშა. მისი ბედი გაიზიარეს მარიამ ბოლქვაძემ და სოფიო შაფათავამ, რომლებმაც საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ დაძლიეს.

**ლექსო ცინცაძე**

სეზონის წინ

# ცხელი ყინული

**ჰოკეის ეროვნული ლიგის ახალი სეზონი, სავარაუდოდ, 13 იანვარს აიღებსსტარტს და თითოეულ გუნდს 82-ის ნაცვლად 56 მატჩის ჩატარება მოუწევს. კორონავირუსის პანდემიის გამო განხორციელებული სეკვესტრი დივიზიონებში მონაწილეთა განაწილებაზეც აისახა, თუმცა, ისიც სათქმელია, რომ აღნიშნული სტრუქტურა საბოლოოდ ამ დღეებში მის დასამტკიცებლად დაგეგმილი ნჰლ-ის ხელმძღვანელობის კენჭისყრის შემდეგ ჩამოყალიბდება.**

პირველი დივიზიონი – ბოსტონი, ბუფალო, ნიუ ჯერსი, აილენდერსი, რეინჯერსი, ფილადელფია, პიტსბურგი, ვაშინგტონი;

მეორე დივიზიონი – კაროლინა, კოლამბუსი, დეტროიტი, ჩიკაგო, ფლორიდა, მინესოტა, ნეშვილი, ტამპა ბეი;

მესამე დივიზიონი – ანაჰაიმი, არიზონა, კოლორადო, დალასი, ლოს ანჯელესი, სან ხოსე, სენტ ლუისი, ვეგასი;

მეოთხე (კანადური) დივიზიონი – ტორონტო, მონრეალი, ოტავა, კალგარი, ვანკუვერი, ედმონტონი, ვინიპეგი.

ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ ახლახანს ავტორიტეტულ ამერიკულ ჟურნალ „ფორბსის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ნჰლ-ის ყველაზე ძვირადღირებულ კლუბთა ტოპ-ათეულიც. **ნიუ იორკ-რეინჯერსი (1,56 მილიარდი დოლარი), ტორონტო (1,5 მილიარდი), მონრეალი (1,34 მილიარდი), ჩიკაგო (1,085 მილიარდი), ბოსტონი (1 მილიარდი), ლოს ანჯელესი (825 მილიონი), ფილადელფია (800 მილიონი), დეტროიტი (776 მილიონი), ვაშინგტონი (750 მილიონი) და ვანკუვერი (725 მილიონი დოლარი).**



**მანუჩარ გიორგაძე**

ხელბურთი

# დაწინაურდნენ ბათუმელები

**საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირში, რომელიც კოვიდრეგულაციების უმკაცრესი დაცვით თბილისის ოლიმპიურ სასახლეში ოთხ დღეს გრძელდებოდა, თავი 7-მა გუნდმა მოიყარა. ესენია ბათუმის „შავი ზღვის ბიჭები“, ქუთაისი, თბილისის „პეგასი“ და „ქარიშხალა“, სამტრედია, წყალტუბოს „პრომეთე“ და ფოთის „ოქროს ვერძი“. ლიგის კიდევ სამი გუნდი – სტუ-„იმედი“, დედაქალაქის „სპორტუნი“ და გორი ჩემპიონატში იანვრიდან ჩაებმებიან.**



ასპარეზობისთვის სხვებზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა ქვეყნის ჩემპიონი და 2020 წლის თასის მფლობელი „შავი ზღვის ბიჭები“, რომელმაც ოთხივე შეხვედრა მოიგო: ჯერ პირველობის დებიუტანტ „ოქროს ვერძს“ 24 ბურთის სხვაობით აჯობა – 38:14, მერე წყალტუბოს „პრომეთესა“ (40:20) და სამტრედიას დააყრევინა ფარ-ხმალი – 38:25. ტურნირის ფინიშზე ერთმანეთს ლიდერები – ბათუმის „შავი ზღვის ბიჭები“ და ქუთაისი დაუპირისპირდნენ. ბოლო წლების ორი უძლიერესი ქართული კლუბის მატჩი ახალ სეზონში მეორე იყო -– ერთი თვის წინათ ზღვისპირელებმა საქართველოს თასის ფინალში აჯობეს რიონისპირელებს – 30:25. ქუთაისელები ამჯერად სარევანშოდ იყვნენ განწყობილი, ერთი პერიოდი დაწინაურდნენ კიდეც – 7:5, მაგრამ ტაიმი (17:13), შემდეგ კი ორთაბრძოლაც ბათუმელებმა მოიგეს (32:28) და 8 ქულით ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნეს.

**დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დასრულდა:** თბილისის „ქარიშხალა“ – „პრომეთე“ 27:26, „ქარიშხალა“ – „ოქროს ვერძი“ 27:35, „ოქროს ვერძი“ – „პრომეთე“ 22:26, „ქარიშხალა“ – ქუთაისი 20:54, სამტრედია – „ქარიშხალა“ 38:33.

**სატურნირო მდგომარეობა: ბათუმი – 8, ქუთაისი – 4, სამტრედია, წყალტუბო, ფოთი, ქარიშხალა – 2-2, პეგასი – 0 ქულა.**

**გივი გაგუა**

რჩეულნი

# სუპერსიმბოლური

**ავტორიტეტულმა ფრანგულმა ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა“ დაასრულა ყველა დროის სიმბოლური ნაკრების შედგენა. სპეციალურ ჟიურიში ის 140 ჟურნალისტი შედიოდა, რომლებიც ყოველ წელს ირჩევენ „ოქროს ბურთის“ მფლობელს.**

სიმბოლური ნაკრები შეადგინეს 3-4-3 სქემით და მან ასეთი სახე მიიღო: ლევ იაშინი (სსრკ) – კაფუ (ბრაზილია), ფრანც ბეკენბაუერი (გერმანია), პაოლო მალდინი (იტალია) – დიეგო მარადონა (არგენტინა), ჩავი (ესპანეთი), ლოთარ მათეუსი (გერმანია), პელე (ბრაზილია) – ლიონელ მესი (არგენტინა), რონალდო (ბრაზილია), კრიშტიანო რონალდო (პორტუგალია).

**ვიტალი ჯაფარიძე**

ევროტურნირები

# ორი თვეც მალე გავა

უეფას ოფიციალურმა ვებგვერდმა გამოაქვეყნა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის მატჩების განრიგი:

ლაიპციგი-ლივერპული – **16 თებერვალი, 10 მარტი,** ბარსელონა-პსჟ – **16 თებერვალი, 10 მარტი,** პორტუ-იუვენტუსი – **17 თებერვალი, 9 მარტი,** სევილია-დორტმუნდი – **17 თებერვალი, 9 მარტი,** ლაციო-ბაიერნი – **23 თებერვალი, 17 მარტი,** ატლეტიკო-ჩელსი – **23 თებერვალი, 17 მარტი,** გლადბახი – მანჩესტერ სიტი – **24 თებერვალი, 16 მარტი,** ატალანტა-რეალი – **24 თებერვალი, 16 მარტი.**

შვეიცარიაში ევროპა ლიგის 1/16 ფინალის წილისყრაც გაიმართა. ჯგუფური ეტაპიდან გასულმა 24 კლუბმა და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის რვა მესამეადგილოსანმა 16 წყვილი ჩამოაყალიბა.

გუნდები ორ კალათად იყვნენ გაყოფილნი: განთესილებში – ჯგუფების გამარჯვებულები და განუთესავებში – მეორეადგილოსნები. წინასწარ დაწესებული შეზღუდვის მიხედვით, ერთმანეთს ვერ შეხვდებოდნენ ერთი ქვეყნის კლუბები, აგრეთვე, ჯგუფურ ეტაპზე ერთ ქვეჯგუფში მყოფი გუნდები.

წილისყრის შედეგად მერვედფინალური წყვილები ასე დაკომპლექტდა: **ვოლფსბერგერი – ტოტენჰემი, დინამო (კ) – ბრიუგე, სოსიედადი – მანჩესტერ იუნაიტედი, ბენფიკა – არსენალი, ცრვენა ზვეზდა – მილანი, ანტვერპენი – რეინჯერსი, სლავია – ლესტერი, ზალცბურგი – ვილიარეალი, ბრაგა – რომა, კრასნოდარი – დინამო (ზ), იანგ ბოიზი – ლევერკუზენი, მიოლდე – ჰოფენჰაიმი, გრანადა – ნაპოლი, მაკაბი (თ-ა) – შახტარი, ლილი – აიაქსი, ოლიმპიაკოსი – ეინდჰოვენი.**

პირველი მატჩები 2021 წლის 18 თებერვალს გაიმართება, ხოლო განმეორებითი – 25 თებერვალს.

**გიორგი შოთაძე**

## ანტონ ლეჟავას ხსოვნას



ძმა იაკობი, რძლები მანანა კუნჭულია, ნინო სუხიშვილი, მაკა მანჯგალაძე; ძმისშვილები ზურა, ლევანი, ძმის შვილიშვილები იუწყებიან

**ანტონ ლეჟავას**

გარდაცვალებას.

---

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება ყოფილი თანამშრომლის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

**ანტონ ლეჟავას**

გარდაცვალებას და ღრმად თანაუგრძნობს ბატონ ზურაბ ლეჟავას და ქალბატონ ნინო სუხიშვილს ძვირფასი ბიძისა და ოჯახის უახლოესი წევრის დაკარგვის გამო.

---

## სულით, ხორცით მამულიშვილი

კიდევ ერთი ღირსეული ქართველი, სულით, ხორცით მამულიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ანტონ ლეჟავა** წაართვა სიკვდილმა ჩვენს სამეცნიერო საზოგადოებას. ანიტონ ლეჟავა დაიბადა 1930 წლის 1 ივლისს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჯერ სრულიად ახალგაზრდამ დაიცვა საკანდიდატო და მალევე სადოქტორო დისერტაციები. ანტონს შემთხვევით არ დაუმთავრებია ისტორიის ფაკულტეტი. როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი, იგი მოწოდებით იყო ამ დარგის ტრფიალი და აკი თავისი წარუშლელი კვალიც დატოვა საქართველოს მრავალჭირნახადი ისტორიის სიღრმისეულად შესწავლის საქმეში.

ანტონ ლეჟავა უაღრესად პრინციპული მეცნიერი იყო, თითქოს მკაცრი, ამავე დროს გულითადობითა და მეგობრული სითბოთი გამოირჩეოდა. ამიტომ იყო, რომ პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის მრავალრიცხოვან თანამშრომელთა შორის და საერთოდ მეცნიერ-ისტორიკოსთა წრეში. მისი არაერთი შრომა დარჩება, როგორც მეცნიერული კეთილსინდისიერების ნიმუში.

**მეგობრები, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია**

## სანთელი



გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და მეცნიერების ორგანიზატორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების უწყებათაშორისო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ზოგადი და რადიაციული ეკოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**მარატ ციცქიშვილი**

პანაშვიდი მისამართზე: ნუცუბიძის 77 ბ, მე-2 სადარბაზო, მეორე სართული, ბინა 28.

გამოსვენება ხუთშაბათს, 17 XII, 14 საათზე. დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოზე.

---

საქართველოს საინჟინრო აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

**მიხეილ (გაგული) შილაკაძე**

და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

საზღვაო შ.პ.ს. „გეომარი“-ს თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ დიდი ხნის მეგობრის

**როინ ვახტანგის ძე მუხაშავრიას**

გარდაცვალების გამო, თანაუგრძნობენ ოჯახს და სამეგობროს.

## სანთელი

# ვენერა ჯახუა



მეტად მძიმე, სევდიანი, გულდასაწყვეტი ორმოცი დღე გადის მას შემდეგ, რაც ოჯახს, ახლობლებს, მეზობლებსა და მეგობრებს უსაყვარლესი ქალბატონი, ღვაწლმოსილი პედაგოგი ვენერა ჯახუა გამოაკლდა.

იგი 1932 წლის 28 ნოემბერს აფხაზეთში, გულრიფშის რაიონის სოფელ მერხეულში დაიბადა, სადაც ეზიარა საშუალო განათლებას. სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა სოხუმის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1956 წელს. იმავე წლის 1 სექტემბერს პედაგოგთა საოცნებო, მაგრამ საკმაოდ მძიმე აღმართს შეუდგა დალის ხეობის თვალწარმტაც სოფელ ჩხალთაში.შემდეგ იყო სოფელ ოქტომბრის სკოლა, მეორე მაჭარის რვაწლიანი სკოლა, ბოლოს კი სოხუმის რაიონის აჩადარის საშუალო სკოლა, რომელსაც იგი საკუთარ ოჯახად თვლიდა. აქაურმა პედკოლექტივმა დიდი ხნის ნაცნობივით ჩაიკრა გულში საქმის მცოდნე, უდიდესი პასუხისმგებლობის მქონე, სათნო და კეთილი ადამიანი.

მოსწავლეთა და მშობელთა არმია ემადლიერებოდა მას გაწეული უპრეტენზიო შრომისთვის. პენსიაზე გასვლისთანავე ავბედითმა აფხაზეთის ომმა მოუსწრო, რის გამოც იძულებული გახდა ნაჯაფ-ნაოფლარი სახლ-კარი დაეტოვებინა და თანამემამულეებთან ერთად ფეხით გადმოელახა ჭუბერის უღელტეხილი. მძიმე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 2020 წლის 8 ნოემბერს მან თავისი უმანკო სული ზეციურ მარადისობას მიაბარა, ხოლო მისი ნეშტი სოხუმის ნაცვლად თბილისის წმ. ნინოს სახელობის ეკლესიის მიმდებარე სასაფლაოს მიწამ ჩაიხუტა.

ვენერა ჯახუას ხსოვნა ნათელ მოგონებად დარჩება მისი მეგობრებისა და აღზრდილების გულებში.

**სოხუმის რაიონის აჩადარის საშუალო სკოლის პედკოლექტივი**

## ყალბი ფულის დამამზადებლები გასკვანჩეს!!!

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად, ყალბი ფულის დამზადება-გასაღების ფაქტზე სამი პირი დააკავეს.

დანაშაულში მხილებული პირები, კუსტარულად დამზადებული თაბაშირის ყალიბებისა და ნედლეულის სახით ტყვიის გამოყენებით, ამზადებდნენ ყალბ 1-ლარიან მონეტებს, რომლებსაც შემდგომ ასაღებდნენ საქართველოს მასშტაბით განთავსებულ სწრაფი ჩარიცხვის აპარატების მეშვეობით. აღნიშნული თანხა ირიცხებოდა ონლაინ ტოტალიზატორებში მათივე სადეპოზიტო ანგარიშებზე, საიდანაც შემდგომში ხდებოდა მისი განაღდება.

ბრალდებულ პირთა მიერ გასაღებული ყალბი ერთლარიანი მონეტები ზომით, წონით და სხვა პარამეტრებით მიმსგავსებულია ეროვნული ბანკის მიერ ემისირებულ მონეტებს. გამოძიების ამ ეტაპზე დადგენილია, რომ მათ მიერ გასაღებულია დაახლოებით 8 000 ცალი ყალბი მონეტა. ბრალდებულთა საცხოვრებელი სახლისა და პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებულია ყალბი ფულის დასამზადებლად საჭირო ყალიბები, შესაბამისი ნედლეული და 41 ცალი ყალბი 1-ლარიანი მონეტა.

## თენგიზ ცერცვაძე: „ლოკდაუნმა“ პანდემიის დინამიკაზე დადებითი გავლენა მოახდინა!



„ჩვენთან ამ „ლოკდაუნმა“ უეჭველად მოახდინა დადებითი გავლენა პანდემიის დინამიკაზე, რაც გამოიხატა იმაში, რომ „ლოკდაუნის“ დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, რახან სწორედ ორი კვირა გრძელდება ინკუბაციური პერიოდი, შეჩერდა ზრდა. ბოლო ორი დღეა, შემცირდა კიდეც. ოღონდ აქედან ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გავაკეთებთ. შაბათ-კვირა იყო და ტესტირების რაოდენობა ამ დღეებში მცირდება ხოლმე. შესაძლოა, ამასთან იყოს დაკავშირებული, მაგრამ ფაქტია, რომ არ იზრდება რაოდენობა.

ასეთი იყო პროგნოზიც, რომ თუ ჩვენ, ქართველი ხალხი სწორად გაიგებს ექიმებისა და მთავრობის მითითებებს და რეგულაციებს შეასრულებს, პირველ რიგში, ნიღბის ტარებისა და თავყრილობებისგან თავის შეკავების თვალსაზრისით, ორ-სამ კვირაში მოხდებოდა სტაბილიზაცია და შემდეგ წავიდოდა კლებისკენ“...

საქართველოში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედმა უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ, 28 ნოემბრიდან, ქვეყანაში მოქმედი წერტილოვანი შეზღუდვების გამკაცრებისა და გაფართოების გადაწყვეტილება მიიღო.

## მხნედ, დიდო არტისტო!

კახი კავსაძემ კორონავირუსი დაამარცხა და კლინიკიდან სახლში გაეწერა.

შეგახსენებთ, რომ 28 ნოემბერს კახი კავსაძე პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში სუნთქვის უკმარისობით გადაიყვანეს. მანამდე, ოჯახის წევრებთან ერთად ერთი კვირის განმავლობაში სახლში მკურნალობდა.



## მადლობა თავდადებული და უანგარო შრომისთვის!

81 წლისა გახლავართ, პანსიონატ „სავანეს“ მკვიდრი. მეც დავვაადდი კოვიდინფექციით და რომ არა თავდადებული და პროფესიონალი ექიმების მცდელობა, ალბათ იმ ასობით ადამიანის ბედს გავიზიარებდი, რომელთა სიცოცხლეც პანდემიამ შეიწირა, რადგან ორჯერ ინფარქტგადატანილი და 30 წელი გულის ქრონიკული დაავადების მქონე ვარ. საოცარი ყურადღება გამოიჩინეს ჩემს მიმართ ქართულ-ჰოლანდიური ჰოსპიტლის თანამშრომლებმა, ინტენსიური განყოფილების უფროსის, ბატონ იოსებ ყარსელიშვილის თავკაცობით. მათ მართლაც შეუძლებელი შეძლეს და ასაკოვან ადამიანს სიცოცხლე მაჩუქეს. მე მოწმე ვარ მომსახურე პერსონალის ტიტანური შრომისა, ყოველგვარი მცდელობისა, ვაქცინის არარსებობის პირობებში თუ როგორ ზრუნავენ თითოეული პაციენტის მიმართ, მოწმე ვარ იმ უზარმაზარი ყურადღებისა, რასაც ისინი იჩენდნენ ჩვენს მიმართ.

დამდეგი შობა-ახალი წელი მინდა მივულოცო პანსიონატ „სავანის“ თანამშრომლებს, რომლებმაც შეძლეს ჩემი, მძიმე ავადმყოფის, ჰოსპიტალში გადაყვანა, მინდა, მივულოცო ჰოსპიტლის ყველა თანამშრომელს, მადლობა ვუთხრა იმ უძილო ღამეებისა და შრომისათვის, რასაც ისინი ჩვენს მიმართ იჩენდნენ. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა, მივულოცო მთელ საქართველოს, ღმერთის წყალობით ეს ყველაფერი ჩაივლის. იმედია, რომ ამგვარი ხალხის თავგამოდება შედეგს მოიტანს. ღმერთმა გვიმრავლოს კეთილი და გულისხმიერი ადამიანები!

**პატივისცემითა და უსაზღვრო მადლიერებით**

**ლუცია ყალიჩავა-ჯორჯაძე,**

**ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, 81 წლის.**



იერუსალიმის ჯვრის მონასტერი

# დე, თითი მისკენ იმან იშვიროს, ვინც უკეთესად ივანიშვილობს!

შური არს მწუხარებაი სხვისა სიკეთესა ზედა, ხოლო ღაზობა არა თუ ოდენ მწუხარებისა ქონებაი, არამედ უძვირესიცა, რამეთუ ენებოს მოსპოლვა კეთილმოქმედისა მის მოყვასისა!“ — ბრძანებდა სულხან-საბა ორბელიანი და ამის სამწუხარო მაგალითად ყოველდღიურად ვხედავთ ღაზობას, რითაც მავანი ცდილობს მოსპოს კეთილმოქმედი მოყვასი , ვინც „ახარებს მრავალს და გულწრფელად ხარობს მათი გახარებით“ (მუხრან მაჭავარიანი); ის კაცი, „რომელიც ყოველგვარი მოჩვენებითობის გარეშე გულწრფელად წუხს, როდესაც ხელმოკლე ადამიანი მადლობას ეუბნება“ (თამარ ჭოხონელიძე). ეს ის პიროვნებაა, ვისზეც ჭაბუა ამირეჯიბი ბრძანებდა:

„საოცარი კაცია, იღლიაში სიკეთითა და სიმდიდრით სავსე გული ამოუდია და ქერივით აბნევს!“ საქართველოს გულმხურვალე ქველმოქმედი ერთი და ორი არ ახსოვს, მაგრამ სიუხვითა და სიკეთით მასავით გამორჩეული — არავინ!

ზოგჯერ მავანი მეკითხება ხოლმე, პირადად შენთვის რა გააკეთაო? — ბევრი, ძალიან ბევრი!

განა საქართველოს ჩემს სალოცავადაც არ შემატა წმინდა სამების ტაძარი და ღვთის სხვა სახლები? მისი ქველმოქმედებით არ დაიბრუნეს პეწი ჩვენმა თეატრებმა? მისი სტიპენდიებით არ შევინარჩუნეთ სიდუხჭირისაგან სასომიხდილი მწერლობა, ხელოვნება და კულტურა?

კიდევ რა გააკეთა ჩემთვის? უამრავი ისეთი რამ, რომ ჩამოთვლაც კი ძნელია და, რაც მთავარია, ის, რომ დამიბრუნა ხვალინდელი დღის იმედი!

დამატებით რას მოველი მისგან?

ბატონი ბიძინა ერთადერთი ქართველი ქველმოქმედია, რომელსაც შეუძლია მე, 86 წლის ბერიკაცს, მომასწროს და დამიბრუნოს სულმნათი შოთა რუსთაველის ძვალშესალაგი — იერუშალაიმის „ქართველთა ჯვრის მონასტერი“, სადაც პირადად ვნახე და ჩემს გამხნევებადაც აღვიქვი ლითონის დისკი, რომელზეც წარწერილია: „მტკიცედ დევ!“

თვალნათლივ ვხედავ, რა სულიერი შედეგი შეუძლია მოგვიტანოს ჯვრის მონასტრის დაბრუნებამ და მწამს, რომ ამ სანუკვარი ოცნების ასრულებამდე დიდი დრო აღარ არის დარჩენილი. ამიტომ ჩემს გულწრფელ აღსარებას პრესაში არაერთგზის გამოქვეყნებული ჩემივე „სავედრებლით“ დავასრულებ, რომლის დასკვნითი აკორდი ამ წერილის სათაურად შევარჩიე.

კაცს — სიკეთის მქნელს, ღმერთო, უშველე,
ხალხს ტაძრებსა და თეატრს უშენებს!
ის აპურებდა ქართველ ჯარისკაცს
და მასთან შებმა ვინც კი გარისკა,

მუცლით ახოხა უცხო კარისკარ!
მეოხ ჰყავ, ვისაც აქვს საჯავრისად
ქრისტეს საფლავზე ბედი „ჯვარისა“!
არაფერია ქვეყნად უშენოდ
და რომ უშვერობს, ვიღაც უშვერობს,

შეუნდე, ეგებ მასაც ვუშველოთ?!
დიახ, კვლავ გვიჭირს, ზოგჯერ ვშიმშილობთ,
მაგრამ, დე, თითი იმან იშვიროს,
ვინც უკეთესად ივანიშვილობს!



**ალექსანდრე შენგელია**


## ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).


# „ვეფხისტყაოსანი“ — ჰინდურ ენაზე

**შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ინდოეთში ჰინდურ ენაზე გამოიცა. წიგნის თარგმნის და ჰინდურ ენაზე გამოცემის იდეა ინდოეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩს არჩილ ძულიაშვილს ეკუთვნის. ჰინდურ ენაზე გამოცემული პოემის წარდგინება ჯაიპურის წიგნის ფესტივალის ფარგლებში ონლაინ გაიმართა.**

როგორც ინდოეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა არჩილ ძულიაშვილმა განაცხადა, „ვეფხისტყაოსნის“ ჰინდურ ენაზე თარგმნის და გამოცემის იდეა დიდი ხანია, აქვს და მისი განხორციელება ინდოეთში დიპლომატიური მისიით ჩასვლისთანავე დაიწყო.

**„2016 წელს, როდესაც ინდოეთში პირველად ჩამოვედი დიპლომატიური მისიით, რათა წარმედგინა ჩემი ქვეყანა — საქართველო, მომეცა ფანტასტიური შესაძლებლობა, უკეთ გავცნობოდი ინდურ კულტურას, რომელმაც მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ჩვენს გულებში. უძველესი კულტურითა და ტრადიციებით, საქართველო და ინდოეთი ყოველთვის ახლოს იყვნენ ერთმანეთთან. ინდოეთში ჩასვლის პირველივე დღიდან, მოტივირებული ვიყავი, ინდოელი მკითხველისთვის ქართული ლიტერატურის ბრწყინვალება გამეცნო და დღეს, მოხარული ვარ, გაცნობოთ, რომ პირველად ჰინდურ ენაზე გამოქვეყნდა ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე დიდებული შედევრი, „ვეფხისტყაოსანი“. ეს არის პოემა თავისი უნივერსალური ღირებულებებით, რომელიც აღწერს ბრძოლას ნათელსა და ბნელს შორის.**



**მინდა ვისარგებლო ამ შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ დიდებული პროექტის შექმნაში და ასევე, ვულოცავ ყველას, ამ ისტორიული პროექტის წარმატებით დასრულებას. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ლიტერატურის ფესტივალის დირექტორებს, რომ საშუალება მოგვცეს, წარვადგინოთ ეს ეპიკური პოემა საქართველოდან. მადლობა ყველას, ვინც ჩვენ გვერდით იყო“,** — განაცხადა არჩილ ძულიაშვილმა ჯაიპურის წიგნის ფესტივალის ფარგლებში გამართულ ონლაინწარდგენაზე.

# წმიდა დიდმოწამე ბარბარე

**17 დეკემბერს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს წმიდა დიდმოწამე ბარბარეს ხსენებას. ...წმინდა დიდმოწამე ბარბარე, ადრე დაქვრივებული, მდიდარი წარმართის დიოსკორეს შვილი იყო. იმის შიშით, რომ ხალხთან ურთიერთობისას ბარბარეს დაბალი წარმომავლობის ადამიანები არ გაეცნო, დიოსკორემ მას მაღალკოშკიანი ბრწყინვალე სასახლე აუგო და უბრძანა, იქიდან არსად არ გასულიყო.**



მარტოობაში ახალგაზრდა ბარბარე ნუგეშს თავისი კოშკის სარკმელთან ჯდომასა და შემოგარენის სილამაზით ტკბობაში პოულობდა, ხოლო, როცა ბინდდებოდა და ჩაბნელებულ ცაზე ურიცხვი ლამპარი ინთებოდა ბარბარეს ქალწულებრივ სულს აღფრთოვანება მოიცავდა და იმის გაგება სწყუროდა, თუ ვინ შექმნა ეს საკვირველი მშვენიერება... მას წარმართი აღმზრდელების პასუხები არ აკმაყოფილებდა და დიდი ხნის განსჯის შემდეგ, ბარბარე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უნდა იყოს ერთი შემოქმედი — კეთილი, ბრძენი და ყოვლისშემძლე, რომელმაც ეს ყოველივე შექმნა და ყოველს სიცოცხლე მიანიჭა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ წმიდა ბარბარე, თავისი მგრძნობიარე სულით მიხვდა, რომ ის იპოვა, რასაც ამდენ ხანს ეძებდა. მან ქრისტე იწამა და თავისი მამისაგან ფარულად მოინათლა...

მრავალი რჩევის, ძალდატანებისა და წამების მიუხედავად ბარბარემ არ დატოვა ქრისტიანული რწმენა და არ შედგა კერპთაყვანისმცემლობაზე. ბოლოს იგი ურჯულოთა ხელით საშინლად ეწამა. წმიდა ბარბარე ბავშვების მფარველად მიიჩნევა.

**გიული ლიპარტია**


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე —
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 18 დეკემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.2889; ევრო - 3.9954;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.4117;
100 რუბლი - 4.5016; თურქული ლირა - 0.4136;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9346;
1000 სომხური დრამი - 6.3006.

**ამინდი 16 დეკემბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | 0, | დღე | +13 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -1, | დღე | +13 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +8, | დღე | +15 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | 0, | დღე | +11 |
| თბილისი: | ღამე | +2, | დღე | +12 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge